

# ბურჯინა

REGION

საინფორმაციო გამოცემა

ფასი 1,50 ლარი

№7, 2014, სექტემბერი



ბიძინა ივანიშვილი

ქვეყნის  
სიყვარულს  
საქმით  
გამოხატავს

## პრიმა ბადარიცა ირმა ნიორაძე და ასკანის მიკროკლიმატის დადებითი ფაქტორები

ლაღობურთაღთა გუნდის გვირაბი  
და ნაღიმი ხუთასწლოვან მუხასთან

ფურცელგაყვანილი და ფურცელგაყვანილი ლარი მარტო



# ԿԱՆԺՄԱԿՎՈՒ ՍՎԻՏՎԵՐՈՒԹՅՈՒ ՔԸՅՈՆ ՅՈՒԿՆ





საქრებულოს თავმჯომარის ერთი ჟანდიდატურა და ბრეყნევის ხანას შედარებულო ჰირველო სხდომა ოზურგეთში	2	ამორტიზებულო შენობა	27
ღანჩხუთის ახლომონვევის საქრებულოს მორიგი სხდომა	4	სანატორიუმი მეგობრობა	28
ჟადრების ბედს საბოლოოდ ჟონჟურსი გადანყვეტს	6	უსინათლო ბავშვებს დაჟარგულო უფლოებებს ვებრუნებთ	29
სოციალოური სფეროს რუტინულო სამუშაო	7	ღისრების აღსადგენად მჟურნალი სამართლოებრივ დავას აგრძელებს	30
ჩოხატაურის აგრარულო ბაზარი - უსტატუსო და უფუნქციო	8	როგორ ვაჟონტროლოთ ნონა ჰორმონების მიღებისას	31
ნიუ ენერჯის შეცდომა თუ გამიზნულო ქმედება	10	მოძლოადე ჟაცის თვითმიზანი ქაღის დამცირებაა	32
რატომ არ ითვალისწინებს ღანჩხუთის გამგებელი მოსახლოების აზრს?!	14	საქრებულოს განჟარგულება	34
სტიჟია ბახმაროში	27	ნადიმი ხუთასწლოვან მუხასთან	35
სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის შეუსაბამო		მჟვლოელობის ვერსია	36
		რატომ დატოვა ყოფილომა დირექტორმა ქლოები „გურიია“?!	38
		მარიამ ხაბეიშვილის პოეზია	39
		გურულო ხუმრობები	40

<p><b>ღაფუქნაბალი - ანა თოხაძე</b>  <b>მთაჟარი რაღაქბორო - ლელა სურაბაჟა</b>                  მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38                  ბაღ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01                  ეღფოსტა: <b>Guriaregion14@mail.ru</b></p>	<p><b>აჟირფასო აჟითხვეღაო!</b>                  მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვეთ საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.</p>
--	--

რაღაქვიაში ჟამოსული მასალაბის სიზუსტაჟა ჟასუნს აზაბს ავბორონი, ხოლო საჩრავლო ბაქსტაჟა ჟასუნისგვაბლობა რაღაღამის ჟამაჟეთს ეანსრაბა.



# საკრებულოს თავმჯდომარის ერთი კანდიდატურა და ბრეჟნევის ხანას შედარებითი პირველი სხდომა ოზურგეთში

ოზურგეთის ახალმონვევის საკრებულოს პირველი სხდომა არაორგანიზებულად, დაბნეულობის ფონზე წარიმართა. 2 აგვისტოს სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარე, დროებითი კომისიის წევრები. ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ცნობილი გახდა იმ 6 ფრაქციის შესახებ, რომელიც ახალ საკრებულოში ჩამოყალიბდა.

თავდაპირველად №60 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად თენიშვილმა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ რეგისტრაცია საკრებულოს ახლარჩეულმა 43-ვე წევრმა გააიარა და სხდომის თავმჯდომარეობა ყველაზე უხუცესს საკრებულოს წევრს, ავთანდილ ხინთიბიძეს სთხოვა.

რაც შეეხება დღის წესრიგს:

„დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ; საკრებულოს წევრმა გოჩა კილაძემ დაასახელა დროებითი სამანდატო კომისიის წევრობის კანდიდატები – ვლადიმერ ვადაჭკორია, ზაზა გობრონიძე და თეიმურაზ ბურჭულაძე. საკრებულოს წევრმა მიხეილ გოგოტიშვილმა მოითხოვა კომისიის შემადგენლობაში შეეყვანათ კიდევ ორი დეპუტატი, დავით მუჟაფანაძე და შალვა დოლიძე. საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზვიად თენიშვილმა დროებით სამანდატო კომისიას სამუშაოდ გადასცა ახლადარჩეული საკრებულოს დეპუტატების დოკუმენტები.

დეპუტატმა კახაბერ გობრონიძემ დაასახელა დროებით ხმისდამთვლელ კომისიაში ასარჩევი კანდიდატები - ირაკლი ჩხაიძე, ნუგზარ კალანდარიშვილი, ეროდი გორდელაძე, მიხეილ გოგოტიშვილი და რესან გაბაიძე.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად აირჩიეს დროებითი ხმისდამთვლელი კომისია.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, ახალი მონვევის საკრებულოს პირველ სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მხოლოდ დავით დარჩიას კანდიდატურა დასახელდა. რაც შეეხება დავით დარჩიას, იგი ჯერ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად მუშაობდა, გარდა ამისა ცნობილია, რომ ის ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელია. საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ დავით დარჩიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

საკრებულოს წევრმა დიმიტრი კვერციანიძემ მოკლე სიტყვით მიმართა საკრებულოს წევრებს. განაცხადა, რომ ეს იქნება სრულიად განსხვავებული საკრებულო, სადაც ანგარიში გაენევა განსხვავებულ აზრს, მაღლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს საკრებულოს სხდომაზე დასწრებისათვის. საკრებულოს პრიორიტეტად დაასახელა ამომრჩევლებისადმი სამსახური.

საკრებულოს წევრმა ლელა ნაცვალაძემ, რომელიც წინამონვევის საკრებულოს სხდომებზე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა, ჩვეულებას არც ახლა უღალატა და განა-



ცხადა, რომ ოზურგეთის საკრებულოს პირველი სხდომა ბრეჟნევის ხანას აგონებს:

„ხელისუფლებამ დეპუტატებს არჩევანის უფლება წაართვა, დაასახელა რა მხოლოდ ერთი კანდიდატურა, ასე ბრეჟნევის დროს ხდებოდა“ – განაცხადა საკრებულოს წევრმა ლელა ნაცვალაძემ დეპუტატების წინაშე გამოსვლისას და იქვე მკაცრად გააკრიტიკა როგორც ახალი, ასევე ძველი ხელისუფლება.

„მე არ დამიჭერია დავით დარჩიასათვის მხარი, რადგან ის რაც ბოლო ორი წელიწადია ოზურგეთში ხდება, სხვებთან ერთად დარჩიაცაა დამნაშავე“ – დასძინა ქალბატონმა ლელამ. უმრავლესობას წინასწარ განსაზღვრული ჰყავს თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატები და ასე იქნება, ვიდრე არ გაიზრდება ჩვენი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი შეგნება. დღეს, კოალიცია „ქართული ოცნების“ პარტიულ სიებში და მაჟორიტარებად არჩეული არიან ადამიანები, რომლებიც 1 ოქტომბრამდე სხვა ფლანგზე იბრძოდნენ, დავით დარჩიამ, როგორც „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საარჩევნო შტაბისა და შემდგომში გამგებლის საქმიანობაზე – განაცხადა ქალბატონმა ლელამ და დასძინა, რომ მომდევნო საკითხების კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

სხდომის თავმჯდომარეობა ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ გააგრძელა.

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ დიმიტრი კვერციანიძის კანდიდატურა დაასახელა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, რასაც საკრებულომ ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა. თუმცა ერთ-ერთმა წევრმა მიხეილ გოგოტიშვილმა განაცხადა – საკრებულოს უფლება აქვს ჰყავდეს მოადგილეები და სასურველია მოადგილე ოპოზიციის მხრიდანაც აირჩიოს.

უმრავლესობის წევრმა, სოფელ სილაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა კილაძემ განაცხადა – მართალია კანონმდებლობა გვაძლევს სამუალებას ავირჩიოთ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, მაგრამ ისედაც მწირი ბიუჯეტის პირობებში, რამდენად იქნება გასაგები საზოგადოებისა და ამომრჩევლებისათვის, ამასთან, საკრებულოს



იურისტის ლაშა თავაძის განცხადებით გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში უახლოეს დროში პარლამენტი შეიტანს ცვლილებას, სადაც ჩაინერგება მხოლოდ „მოადგილე“.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არჩეულ იქნა 31 ხმით.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დროებით სამანდანტო კომისიაში შემოსული განცხადებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემდეგი ფრაქციების დაფუძნების შესახებ: 1. „ქართული-ოცნება, დემოკრატიული საქართველო“ (თავმ.გოჩა კილაძე), 2. „პატრიოტთა ალიანსი“ (თავმ. ავთანდილ ხინთიბიძე), 3. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თავმ. მიხეილ გოგოტიშვილი), 4. „ძლიერი სოფელი“ (თავმ. ზაზა გობრონიძე), 5. „კოალიცია ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატები“ (თავმ. კახა გობრონიძე), 6. „ჩვენი ოზურგეთი“ (თავმ. ალექსანდრე გოგოძე).

საკრებულოს სხდომის ჩატარების დღედ განისაზღვრა ყოველი თვის პირველი „ოთხშაბათი“, ნაცვლად „ორშაბათისა“. შეტანილი იქნა ცვლილება სხდომის დაწყების დროში, ნაცვლად დღის 10:00 საათისა – 11:00 საათი. შესაბამისად გადაინაცვლა შესვენებებისა და სხდომის ხანგრძლივობის დრომაც.

ცვლილებები შევიდა მუდმივმოქმედ კომისიათა სახელწოდებებშიც: „სამანდანტო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას“ დაემატა „იურიდიული“, – დეპუტატ პაატა მანჯგალაძის და დეპუტატ მიხეილ გოგოტიშვილის წინადადებით სოციალურ საკითხთა კომისიას“ დაემატა „განათლების, კულტურის სპორტის“, ხოლო „ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას“ დაემატა „აგრარულ საკითხთა“.

საკრებულოს წევრმა, სოფელ სილაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გოჩა კილაძემ მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად დაასახელა დეპუტატ გელა ჩავლეშვილის კანდიდატურა, საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ ერთხმად დაუჭირა მხარი მის საარჩევნო ბიულეტენში შეტანას. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 38 დეპუტატმა, მომხრე – 38;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურ-

სების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის შოთა ართმელაძის კანდიდატურა, მის საარჩევნო ბიულეტენში შეტანას საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. არჩეულ იქნა 38 ხმით.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა დეპუტატ ლელა საჯაიას კანდიდატურა.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ დასახელდა სოფელ ბახვის მაჟორიტარი დეპუტატის ეროდი გორდელაძის კანდიდატურა, რომლის საარჩევნო ბიულეტენში შეტანას საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ეროდი გორდელაძემ საკითხის განხილვის დაწყებამდე აცილება მისცა საკუთარ თავს დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე და თავმჯდომარედ კომისიის წევრი ნუგზარ კალანდარიშვილის კანდიდატურა დაასახელა. რაც მიღებულ იქნა 37 ხმით.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

საკითხის განხილვისას საკრებულოს სოფელ მაკვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ სოფლებსა და თემებში დებულებითა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებული გამგებლის თითო წარმომადგენლის დანიშვნა გაუმართლებელია, აუცილებელია რამდენიმე მუშაკი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ განაცხადა, რომ საკრებულოსთან ერთად მოიფიქრებს მდგომარეობიდან გამოსვლის ღონისძიებებს, ეს არა მარტო ოზურგეთის, საქართველოს ყველა თემების მუნიციპალიტეტების პრობლემაა – დიდი სოფლებისა და თემებისათვის საჭიროა რამდენიმე მუშაკი.

სხდომის თავმჯდომარემ დავით დარჩიამ კიდევ ერთხელ მიულოცა კოლეგებს პირველი სხდომის ჩატარება და შემდგომ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ნინო ონიანი





# ლანჩხუთის ახალმოწვევის საკრებულოს მორიგი სხდომა

განსჯის თუ არა უსამსახუროდ დარჩენილ პირებზე კომპენსაციას ლანჩხუთის გამგეობა?



15 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც 20-ზე მეტი საკითხი განიხილეს. დეპუტატების განსაკუთრებული დაინტერესება კი რამდენიმე მათგანმა გამოიწვია. საკრებულოს პირველმა პირმა, გოგი ხელაძემ დეპუტატებს დღის წესრიგი გააცნო და მისი დამტკიცება თხოვა. განსაკუთრებული ყურადღება პირველი საკითხის მიმართ იყო მიმართული – „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სხდომის დაწყებამდე სხვადასხვა ვერსიები გავრცელდა. როგორც აღმოჩნდა, საკითხი ბოლომდე არ იყო გადაწყვეტილი და მისი სხდომაზე გატანა აღარ მომხდარა.

მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბინაძემ ისაუბრა. დებულება დამტკიცდა, რომლის შემდეგ ბატონმა რომანმა საკრებულოში კიდევ ერთი ფრაქციის შექმნის შესახებ განაცხადა. ამიერიდან, საკრებულოს ფრაქციების რიგს „ქართული ოცნება-მრენველები“ შეემატა, რომელიც სამ კაციანი გახლავთ - ამირან ქანთარია, აკაკი იმნაიშვილი, კახა გუჯაბიძე. ფრაქციას გუჯაბიძე უხელმძღვანელებს, რომელმაც განაცხადა – ჯერჯერობით, სამნი ვართო. ასევე სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ დეპუტატი ადამ ხუხუნაიშვილი შეუერთდა ფრაქცია „დავით თარხან-მოურავი – პატრიოტთა ალიანსს“.

საკითხები, რომლებიც ძირითადად სამსახურების დებულებების დამტკიცებას შეეხება მალე „გაიარეს“

და ჯერი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე მიდგა. დღის წესრიგით საკითხი საკრებულოს პირველ პირს უნდა გამოეთანხა, მაგრამ მან ეს უფლებამოსილება მოადგილეს, გელა კილაძეს დაუთმო. როგორც მომხსენებელმა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ განაცხადა, გამგეობაში იქნება 13 თანამდებობა. იქნება 10 სამსახური. ესენია – ადმინისტრაციული სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის სამსახური, გამგეობის ზედამხედველობის სამსახური, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური, გამგეობის იურიდიული სამსახური, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, განვებისა და მობილიზაციის სამსახური, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახური. ეს უკანასკნელი წლის ბოლომდე შსს-ს დაქვემდებარებაში გადავა. შოთა ჩაგუნავამ ასევე ისაუბრა, რომ გამგეობაში 106 კაცი იქნება სულ დასაქმებული. ეს კვოტა კანონით დადგენილი ყოფილა და აქედან გამომდინარე, ბევრ ადამიანს მოუწევს სახლში წასვლა. დეპუტატები უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანების ბედით დაინტერესდნენ და იმით, მიეცემათ თუ არა მათ კომპენსაცია, მოხდება თუ არა სოფლებში გამგებლის წარმომადგენლების გარდა სხვა შტატის დაშვება და ასე შემდეგ სხდომაზე განმარტეს, რომ კომპენსაციების გაცემა, ალბათ, მოხდება. საუბარია 2 თვეზე, ან თუ შვებულებით არ სარგებლობდა 3-ზე – „ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, საჯარო სამსახური არ არის დასაქმების ორგანო. დასაქმებას უნდა ახდენდეს კერძო კომპანიები. თუ სახელმწიფოს მიდგომა იქნება, რომ ადამიანები გამგეობებში იყვნენ დასაქმებულნი, მაშინ მიდგომა შეიცვლება. ჩვენი სუბიექტური აზრით, შეიძლება 5 სოფელს ერთი წარმომადგენელი არ ეყოს, მაგრამ ამით ვერაფერს ვცვლით. თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ შტატის დამატება საჭირო, დაამატებს“ – ითქვა სხდომაზე. გამგეობის სამსახურების დებულებების დამტკიცება რამდენიმე წუთში დასრულდა და როგორც გაირკვა 10 სამსახური გვეყოლება, რომელთაგან ერთი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახური“ ლიკვიდაციის ფაზაშია და ის შსს სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის. დეპუტატები დაინტერესდნენ, მის ადგილზე რაიმე ახალი სამსახურის შექმნა ხომ არ იგეგმება, რაზეც განაცხადეს, რომ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიძლება ამის მონესრიგება. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ



ჯერი „სხვადასხვაზე“ მიდგა.

სხდომაზე მოწვეული იყო გურიის სატყეო სამსახურის, ლანჩხუთის უბნის უფროსი ნუგზარ ჩხაიძე. დეპუტატებმა შეკითხვები დაუსვეს სტუმარს. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ, იმ ინფორმაციის გადამონმება, რაც შეშის მოჭრასთან დაკავშირებით არსებობს.

სამწუხარო რეალობაა და ფაქტია, მოქმედი კანონმდებლობით, ის ადამიანები, რომლებსაც ოჯახში ბუნებრივი აირი აქვთ შეყვანილი, შეშის მოჭრა ეკრძალებათ. ყველანაირად ვეცადე, ამ პრობლემის მოგვარება. რადგან გასაგები მიზეზების გამო, ყველას არა აქვს იმის საშუალება, ისარგებლოს ბუნებრივი აირით. საბოლოოდ მთავრობის წარმომადგენელთან ერთად შეეთანხმებით, რომ გადაიგზავნება იმ ადამიანების სია (მისამართი, პირად ნომერთან ერთად), რომლებიც მოიხმარენ ბუნებრივ აირს. ამის შემდეგ ისინი მიიღებენ შეშის მოჭრის ნებართვას – განაცხადა ნუგზარ ჩხაიძემ.

„სხვადასხვაში“ ჯუმბერ ბლაგიძემ სამტრედია-გრიგოლეთის მაგისტრალის მშენებლობაზე ისაუბრა „ჩვენთან ჩამოსულები იყვნენ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები და ხვდებოდნენ მოსახლეობას. სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრები უფრო საჯარო უნდა იყოს. მოსახლეობასთან ყოველ შეხვედრაზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთში 3 ლარს გადაიხდიდნენ. ამ ხალხს ეს მიწის ნაკვეთები შესყიდული აქვთ, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია და არის კერძო საკუთრება. გრიგოლეთში იცით რამდენად გაიყიდა ნაკვეთები? 15-20 დოლარი იყო 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფასი. ეს ფასი, რასაც მოსახლეობას სთავაზობენ, დაცინვაა“.

ასევე უმცირესობის წევრმა გია გოგუაძემ წინა სხდომაზე დამტკიცებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. „მაშინ ვიკითხეთ, 840 ათასი ლარიდან რამდენის დაზოგვა შეიძლებოდა. 100 ათასი ლარამდე შეიძლება გამოგვივიდესო. მაქვს ინფორმაცია, რომ ამ თანხაზე უარი გვითხრეს. რჩება მხოლოდ ჩოჩხათის თემში გზის რეაბილიტაციის პროექტისთვის 80 ათასი ლარი და კიდევ 115 ათასი ჯაპანაში წყლის პროექტის განხორციელებისთვის. სხვა პროექტების განხორციელება არ მოხდება.“

ეს ინფორმაცია დაადასტურა გამგებლის მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილმა. მისი თქმით, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ასეა, მაგრამ გამგებელი ცდილობს, რომ ეს თანხა ისევ წამოვიდეს ჩვენზე.

საკრებულოს წევრებმა მგლების შემოსევაზე ისაუბრეს. თუ რამე არ ვიღონეთ, ცუდ დღეში აღმოვჩნდებითო. ბოლო ინფორმაციით, მგლებმა სუფსის თემის მოსახლეობა დააზარალა. დეპუტატებმა ასევე წყლის პრობლემაზე ისაუბრეს. კარგი იქნება თუ რაიმე მექანიზმს მოვიფიქრებთ და საკითხს ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრითო.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელმა კახა ურუშაძემ განაცხადა:

– ფრაქციის სხდომაზე დეპუტატების მოთხოვნით ერთ-ერთ საკითხად განვიხილეთ 25 ივლისს საკრებულოში მომხდარი ინციდენტი, რომელიც საკრებულოს ეთიკისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ რომან ბინაძეს, მოქალაქე ლილი ებრალიძესა და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ კახა ასკურაევას შორის მოხდა. ამ ფაქტმა ყველა ჩვენგანში გულისტკივილი გამოიწვია, ამიტომ მთელი კოალიციური გუნდი ვცდილობდით ამ ინციდენტს არ მოჰყოლოდა შემდგომი გართულებები, თუმცა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, მეტიც ბატონმა კახამ მედიასაშუალებით აბსოლუტურად მიუღებელი განცხადებები გაავრცელა, თითქოს მომხდარი ადგილობრივი ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ მესვეურების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია და ოპოზიციაზე ზენოლაა.

როგორც ჩანს, ბატონ კახას სურს მისი პიროვნული კონფლიქტი წარმოაჩინოს, როგორც პოლიტიკური დევნა, მოიხსას „ჩაგრულის მანტია“ და საკრებულოს წევრისთვის შეუფერებელი საქციელი ლამის გმირობად მოინათლოს.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ კატეგორიულად მოითხოვს ბატონ კახა ასკურაევამ თავი შეიკავოს უსაფუძვლო და უპასუხისმგებლო განცხადებებისაგან, რომლითაც შეურაცხყოფას მიაყენებს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს და მის დეპუტატებს.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ ასევე მოუწოდებს რომან ბინაძეს თავი შეიკავოს შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი განცხადებებისაგან, პირიქით ის უნდა იყოს მაგალითი ყველასათვის ეთიკურობისა და ზომიერი განცხადებების კუთხით.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით კიდევ ერთხელ მიწადა დავაფიქსირო ჩვენი პოზიცია, ჩვენ საკრებულოში მოვედით იმისთვის, რომ ვაკეთოთ საქმე და პირნათელი ვიყოთ ამომრჩევლის წინაშე. ჩვენ არ ვართ დაინტერესებული ვინმეს უფლებამოსილების შეწყვეტით, არ მივიღებთ მონაწილეობას ინტრიგების ხლართვაში. ჩვენ აღებული გვაქვს პასუხისმგებლობა და ამ პასუხიმგებლობას არასოდეს გავექცევით, არც სადავეებს გავუშვებთ ხელიდან“.

ამის შემდეგ სხდომა დახურულ ფორმატში გაგრძელდა. დეპუტატებმა აღნიშნულ საკითხზე დავა გააგრძელეს, მსჯელობის შემდეგ ორივე მხარეს თავშეკავებისაკენ მოუწოდეს.

ნინო ონიანი





# კადრების ბედს საბოლოოდ კონკურსი გადაწყვეტს

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეფორმები მიმდინარეობს. გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ თითქმის ყველა სოფელში თავისი წარმომადგენლები უკვე დანიშნა, დარჩენილი რამდენიმე სოფელი, სადაც წარმომადგენლები უახლოეს დროში დანიშნებიან. გამგებლის წარმომადგენლების სია ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ორგანოებში ასე გამოიყურება – შემოქმედი – ბესიკ ლომინაძე; ვაკიჯვარი – როლანდ ხუნდაძე; ასკანა – ბადრი ჯაველიძე; დაბა ნარუჯა – ზვიად მიქელაძე; დაბა ლაითური – ემზარ ბერიძე; ნატანები – ილო თავაძე; ჭანიეთი – მერაბ ბერაძე; ლიხაური – მერაბ სალუქვაძე; სილაური – ზურაბ ტულუში; დაბა ურეკი – დავით რობაქიძე; ბოხვაური – გოჩა ჭეფხოძე; დვბაზუ – ვასილ ლლონტი; თხინვალი – ომარ დოლიძე; სოფელი ოზურგეთი – ვალერი ჯინჭარაძე, ცხემლისხიდი – დავით ჭანუყვაძე; მელექედური – გაგა ცხომელიძე; ბაილეთი – სპარტაკ მამულაშვილი; დაბა ნასაკირალი – ტარიელ ანთაძე; ბახვი – გოჩა შარაშენიძე; მთისპირი – ქეთევან ჯინჭარაძე; შრომა – მაყვალა დარჩია; ნაგომარი – მიხეილ ცქვიტიშვილი; ძიმიითი – დავით ხინიკაძე; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე გამგებლის წარმომადგენლებს უახლოეს დღეებში შემდეგ სოფლებში: მერია, გურიანთა, ჯუმათი, კონჭკათსა და მაკვანეთში დანიშნავს.

მოსალოდნელი ატესტაციისა და საშტატო ერთეულის დამტკიცებასთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მერაბ ჭანუყვაძეს კითხვებით მივმართეთ.

**– რა კრიტერიუმებით შეაფასეთ თვითმმართველობაში დასაქმებული ადამიანები?**

– თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახალი თვითმმართველი ერთეული გახდა, გამგეობის სტრუქტურა ჩამოყალიბების და ფორმირების პროცესშია. კადრები პროფესიონალიზმის, სათანადო გამოცდილების და იმ უნარების მიხედვით შეირჩა, რომელიც კონკრეტული სამსახურების მუშაობის სპეციფიკაზეა მორგებული. თუმცა ისინი დროებით, 3 თვის ვადით ავიყვანეთ და საბოლოოდ მათ ბედს მაინც კონკურსი გადაწყვეტს.

**– რამდენად მასობრივი ხასიათი ექნება შემცირებებს?**

– მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემცირებებს ადგილი არ ჰქონია. მოხდა სამსახურების ლიკვიდაცია, რის საფუძველზეც ძველ თანამშრომლებს სახლში წასვლა მოუწიათ. თუმცა რამდენიმე კადრი, რომელთაც დადებითი დახასიათება და შესაბამისი გამოცდილება ჰქონდათ, ადგილებზე დავაბრუნეთ.

**– როდის არის დაგეგმილი ატესტაციის გამოცხადება თვითმმართველობაში?**

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელემ ატესტაცია უნდა გაიაროს. ამ ცვლილებების შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო შეიშუშავებს სატესტო თემატიკასა და მეთოდოლოგიას, ასევე შეფასების კრიტერიუმებს და ატესტაციის თარიღიც შემდეგ გადაწყდება, სავარაუდოდ სექტემბერ-ოქტომბრის თვეში. ატესტაციას არ დაექვემდებარება გამგებლის მოა-



მერაბ ჭანუყვაძე

დგილები და სამსახურების უფროსები.

– საუბრობენ იმაზე, რომ ატესტაცია შესაძლოა არაობიექტურად ჩატარდეს, საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველი მოქალაქეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ატესტაციის შედეგად ის ადამიანები დასაქმდებიან, ვინც ხელისუფლებისთვის მისაღები იქნება.

– ატესტაციის შედეგად საჯარო სამსახურში ის ადამიანები დასაქმდებიან, ვინც გამოცდაზე საუკეთესო შედეგებს დადებს. გამომდინარე იქედან, რომ ატესტაციას მთავრობის მიერ დადგენილი რომელიმე საგამოცდო ცენტრი ჩაატარებს, თავისთავად გამორიცხავს კადრების შერჩევის პროცესში ხელისუფლების ჩარევას. არაკვალიფიციური მოხელე საჯარო სამსახურში არ უნდა მუშაობდეს. ადგილზე მხოლოდ ბოლო, გასაუბრების ეტაპს ჩავატარებთ. ახალი კადრების დაკომპლექტება პროფესიონალიზმის მიხედვით მოხდება. ეს იქნებიან ადამიანები, რომლებიც სამომავლოდ მუნიციპალიტეტს გამოადგებიან.

**– არის თუ არა სტრუქტურა საბოლოოდ ჩამოყალიბებული და როგორი იქნება ის?**

– უკვე აღვნიშნე, რომ ფორმირების პროცესში ვართ. ეს არ არის მარტივი პროცედურა. მას შემდეგ, რაც ოზურგეთი თვითმმართველი ქალაქი გახდა, ქონება ქალაქის მერიასა და მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაიყო. ჯერჯერობით ერთ შენობაში ვართ, არ გვაქვს საკმარისი რაოდენობის სამუშაო ოთახები და ტექნიკა. მალე ქალაქის მერია ახალ შენობაში გადავა და ჩვენც სრულფასოვნად შევძლებთ სტრუქტურის გამართვას. მიუხედავად სივინროვისა და სირთულეებისა, მწირი ბიუჯეტის პირობებში მაინც ვახერხებთ ახალი და გარდამავალი პროექტების შემუშავებას, ინოვაციების დანერგვას. მაგალითად, სულ მალე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს ინტერნეტის ერთიანი ქსელი ექნება, რომელიც ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს, თანამშრომლები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეთ. კონტროლის მექანიზმი, რომელიც ასევე გამოიყენება ტერიტორიულ ორგანოებთან ერთი ფანჯრის პრინციპით კო-



მუნიციპალიტეტის კომპანია „ეარნეტის“ მომსახურების პაკეტით ისარგებლებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იქნება პირველი თბილისის მერიის შემდეგ, სადაც მსგავსი სერვისი დაინერგება. საბოლოო ჯამში იმ გუნდის მხარდაჭერით, რომელიც ატესტაციის შემდეგ ჩემს გვერდით აღმოჩნდება, კარგად გამართულ სტრუქტურას დაეცოვება.

– საუბრობენ იმაზეც, რომ საკადრო პოლიტიკაში გარე პირებიც არიან ჩარეულები და ხშირ შემთხვევაში ის ადამიანები რჩებიან ან ინიშნებიან თვითმმართველობაში, ვინც გარე პირებთან არიან დაახლოებული?

– პირდაპირ ვაცხადებ, ეს აბსურდია, რეალობასთან შორს არის.

– საშტატო ერთეულების დამტკიცების შემდეგ მოხდა კადრების დანიშვნა. სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები, დარჩენილი რამდენიმე სოფელი, რატომ გაჭიანურდა ამ რამდენიმე სოფელში წარმომადგენლის დანიშვნის

**პროცესი?**

– გამგებელს აქვს უფლებამოსილება დანიშნოს და გაათავისუფლოს სოფლებში საკუთარი წარმომადგენლები. მე ავიღე პასუხისმგებლობა მათზე და იმ შემთხვევაში თუ სათანადოდ ვერ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, გაათავისუფლებიან სამსახურიდან. დარჩენილია სულ 5 სოფელი და ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდება.

– რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ სოფლებში თქვენი წარმომადგენლები?

– კადრები ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით შეირჩა. სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებიც დროებით მოვალეობის შემსრულებლები არიან, 3 თვე კი არც ისე დიდი პერიოდი, საბოლოოდ ისინიც კონკურსს დაექვემდებარებიან.

ნინო ონიანი

# სოციალური სფეროს რუსინული სეპარატი

ბიძინა ივანიშვილთან ერთად დაფუძნებულ „ქართული ოცნების“ 1100 კაციან ჯგუფში, 7 ჩოხატაურელი იყო. ერთ-ერთი მათგანი დავით შარაშიძე პროფესიით ექიმი-თერაპევტია. ამჟამად, ჩოხატაურის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. შშმ პირი ადაპტირების მოთხოვნას თავად ერიდება, თუმცა შენობის სართულებზე გადაადგილება დიდ ენერჯიას მოითხოვს.

გამგეობისა და საკრებულოს ნებისმიერი სამსახური ვალდებულია ჩვენი კომისიის მოთხოვნის საფუძველზე დებულებით დადგენილი საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვევტილებათა შესრულებისთვის, ხელშეწყობის გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, ასევე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ მას შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები. დაესწრონ კომისიის სხდომას.

– სოციალური სფერო ყველაზე სენსიტიურია, ჩოხატაურის ბაზარში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ხალხს გავსაუბრე. ჯანიკო ჯინჭარაძეს ფეხები დაზიანებული აქვს, დიაბეტიკი ქალბატონი კვირას მთელი დღე შრომობს და იქვე იკეთებს ინსულინის ნემსს. სიცოცხლის უფლება კონსტიტუციით გარანტირებული მთავარი ფუნდამენტური უფლებაა. რატომ დატოვა ასეთი ადამიანები გამგეობა-საკრებულომ უყურადღებოდ ცალკე? – მეტსაც გეტყვით, სახელმწიფომ გამოსცა კანონი შშმ პირებს დავეხმაროთ კომუნალური გადასახადების გადახდაში. მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა, 25 ლარით მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფები დააფინანსა, დანარჩენი არა.

– რამდენიმე თვის წინ ჩვენ ჩოხატაურის გამგეობას წერილობით მივმართეთ, გადმოეცათ სახელობითი სიები, ვისზეც ერთჯერადი დახმარებები გაიცა. ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად პერსონალური მონაცემების გაცემა იკრძალება, რაც საჯარო მოხელეებს ლავირების საშუალებას აძლევს.

– ერთჯერადი სოციალური დახმარებები საერთოდ უნდა გაუქმდეს და ეს თანხა სოციალურ პროგრამებზე გადაინაწილდეს. სოფლებიდან არაერთი ინფორმაცია მაქვს, თუ როგორ ხალხს დაენიშნა სოციალური დახმარებები. ჰყავთ ავტომანქანა, ოჯახის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო



დავით შარაშიძე

სტრუქტურაში მუშაობს, ხუთსულიან ოჯახში თითოეულს 60 ლარი აქვს დანიშნული. ხოლო ვისაც რეალურად სჭირდება დახმარება, მას არ მისცეს. შუაფარცხმაში მცხოვრებ მარტოხელა 62 წლის ქალბატონს უარი უთხრეს, ხიდისთავში პირველი ჯგუფის ინვალიდს 40 წლის 01 მარკის ჟიგული ჰყავს, კვირაში ერთხელ გამოდის, დედა ნანოლებს უსუფთავებს, მე ნამლებს ვაძლევ, დახმარება არ დაუნიშნეს. სოფელ ზემო ხეთში ნახეთ ოჯახი როგორ სახლში ცხოვრობს. ხუთი შვილიდან სამი ინვალიდია, არ დაუნიშნეს პენსია. ერთ-ერთს თანდაყოლილი კუზი აქვს, ფეხს ვერ ხრის, სამშობიაროდან არ აქვს საბუთი, რომ ჰქონდეს მეორე ჯგუფს მიანიჭებდნენ და პენსიას მიიღებდა. ვეკითხები, ხომ ხედავთ ეკუთვნის, დიახ, მაგრამ უსაბუთოდ ვერ მივცემთ. ოზურგეთშიც ჩავიყვანე, მაგრამ უშედეგოდ. სამი წლის მანძილზე არცერთ ბიუჯეტს ხმა არ მივეცი.

– რატომ არ დაუჭირეთ მხარი?

– ხუთი ბავშვი გვყავს, რომლებსაც მშობლები გარდაეცვალათ, მათ ბიუჯეტიდან თვეში 10 ლარი დაუნიშნეს, წელიწადში 120 ლარი. ვამბობდი, მათ ყოველთვიურად 50 ლარი უნდა მიიღონ. ასეთი არაერთი ფაქტია. ონკოლოგიურ ავადმყოფებს 150 ლარს აძლევდნენ, მივალნიე 300 ლარის მედიკამენტები და 400 ლარი კვლევისთვის დაენიშნათ.

– ბახმაროს კურორტს სტატუსი უნდა მიენიჭოს.

– ჩოხატაურის საკრებულომ გამოსცა განკარგულება. წინა მოწვევის საკრებულომ ბიოტუალეტიებისთვის 15 ათა-



სი ლარი გამოჰყო, სად წავიდა ეს თანხა, იქ ბიოტეკნოლოგიები არ დაუდგამთ. მსგავსი საკითხები უნდა მოვიკითხო.

**- ასეთ პოზიციაზე არიან სხვა საკრებულოს წევრები?**

- ალბათ, საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს, ნებისმიერ გადაცდომაზე ის დაისჯება. ჩვენი მთავარი ვალდებულებაა ბახმარი დავარეგისტრიროთ, ან მიმდებარე სოფლების შემადგენლობაში შევიდეს. სხვა შემთხვევაში ცალკე ოზურგეთს აქვს პრეტენზია, მარტო ვერ მიხედავთ, თუ სხვა არ დაიხმარეთო. არავის დახმარება არ გეჭირდება.

**- რამაზ ნიკოლაიშვილი ბახმაროს მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა. ის „ქართულ ოცნებასთან“ ცდილობს საერთო ენა გამოიხსოს.**

- ჩვენთან რამაზ ნიკოლაიშვილი თუ გამოჩნდება, დავინტერესდები, ვისი რეკომენდაციით მოხვდა. ნუ დაავინყდებით რა აქვთ გაკეთებული და როგორ იქცეოდნენ.

**- გამგეობა-საკრებულოში 90 საჯარო მოხელე უნდა შეამცირონ. დასაქმებენ თუ არა პროფესიონალ კადრებს?**

- ჩატარდება კონკურსი, დავაკვირდებით, ჩოხატაურელებს რომ ჰკითხოთ, რატომ არიან „ქართული ოცნებაზე“ განაწყენებული, გიპასუხებენ – მათ ცვლილება ვერ დაინახეს. უამრავი განათლებული და სუფთა რეპუტაციის მქონე კადრია ნასული, ჩამოვიყვანოთ და დავასაქმოთ. ჩვენ აქტივისტებს ვინც აშინებდა და ატერორებდა, ისინი ისევე რჩებიან სამსახურებში.

**- ამბობენ – ჩვენ სამსახურებიდან არ გაგვიშვებენო.**

- თქვენ ზუსტი ინფორმაცია გაქვთ. ნაცნობს თუ პოლიტიკაზე გავესაუბრებოდი, ზურგს შემაქცევდა და მიდიოდა. შემდეგ სალამოს მომიბოდიშებდა. ხალხმა შიში დაძლია, რაც ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა.

ლელა სურმავა



## როსხატაურის აგრარული ბაზარი-უსტაუსო და უსუნაუსიო

**- როგორ აცნობთ ხაჭაპურს ასეთ ანტისანიტარულ პირობებში?**

- როგორ მოვიქცე შეილი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მაქვს, აქ ღომს ვამზადებ, არ მიკრძალავენ, ჯერ საპენსიო ასაკში არ ვარ, დიაბეტიკმა, წამლის ფული რომ ვიშოვო, ასე ვწვალბო. დღის ბოლოს, აქ ვიკეთებ ინსულინის ნემსს.

**- წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაეცნენ თქვენს პრობლემებს?**

- არავინ მოსულა ჩვენი პირობების გასაცნობად და გასაუმჯობესებლად. არცერთ მთავრობას მოუტანია ხალხისთვის სიკეთე. ბიძინა ივანიშვილის იმედი გვქონდა, მაგრამ ხელისუფლებიდან წავიდა.

**- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვის მიეცით ხმა?**

- არ ვიცი, მივედი, მაგრამ მისი სახელი და გვარი არ მახსოვს. არც პენსია მაქვს, არც დახმარება. საუბარში მეორე ქალბატონი ჩაერთო. ჩვენ სოფელში დამოუკიდებელმა კანდიდატმა, აკაკი ყაჭიშვილმა გაიმარჯვა. გამგებლობის დროს მან გოგოლესუბნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ახლა დეპუტატია და რაიონამდე უნდა მიიტანოს ამბავი.

**- შეხვედრების დროს რას გეუბნებოდათ?**

- რა უნდა ეთქვა, მას არაფერი აქვს, ჩვენ როგორ დავგვეხმარება? 20 კილო თხილი მოვაგროვე, ჩამოვიტანე და გავყიდე, მომავალ წლამდე არაფერი მექნება. სამი ობოლი გავზარდე, არავის კართან მივსულვარ. ისეთი დრო დაგ-

ვიდგა, შეიძლება მათხოვრობა დავინყო. სოფელში ღელე ჩამოდის, თუ კაცმა ზურგზე არ მოგისვა, წვიმის დროს ვერ გამოხვალ. სად არ დავსვით საკითხი, მოხრეშეს, შემდეგ წყალმა წაიღო. ასი მთავრობა რომ შეიცვალოს, ჩვენზე არავინ ზრუნავს, ყველა თავისი სკამისთვის ფიქრობს, გაჭირვებულები ვის ედარდება.

- 45 წელი ბახმაროს სკოლა-ინტერნატის მომმარაგებლად ვმუშაობდი, კურორტზე 5 წუთი ამინდი წახდა, 7 მეტრამდე თოვლში მე და ჩემი შვილი უგზო-უკვლოდ დავიკარგეთ, 5 დღე-ღამე გვეძებდნენ. ფეხები მოგვეყინა. ერთ წამალში 120 ლარი გადავიხადე, ეს ცხოვრება და ადამიანობაა?! 82 წლის ასაკის კაცს მთავრობა არ უნდა დამეხმაროს, 150 ლარი როგორ ვიმყოფინო? ფეხები მიღებდა და მკურნალობის საშუალება არ მაქვს – ჯანიკო ჯინჭარაძე.

- ნათურა არ უნდა იყოს ბაზარში? ეს ბაზარი პატრონია, გამგებლები ჩვენ ხარჯზე ფულს შოულობენ. წყალს ვითხოვთ, აქვეა ჭაბურღილი, გაფუჭებულია, არ აკეთებენ, ძვირი ჯდებაო აღნიშნა განაწყენებულმა ქალბატონმა.

ჩოხატაურის აგრარულ ბაზარში ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩასასვლელიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თხილით მოვაჭრეები იდგნენ, ძირითადად სხვა რაიონებიდან ჩამოსულები, რომლებსაც გადასახადის გარეშე აქვთ გარევაჭრობის უფლება, რისი დაჯერება გულუბრყვილობაა. შორიანლოს გასაყიდად გამოყვანილი გოჭი საზამთროს გულს მიირთმევდა. შესასვლელში დახლებზე მეორადი ტანსაცმელები ჰქონდათ დაყრილი, ბაზრის ტერიტორიაზე სრული ქაოსი დაგვხვდა,









ადმინისტრაციის შენობასთან მივედით და ბაზრის დირექტორს, გია სიხარულიძეს გავესაუბრეთ.

აგრარული ბაზარი ცეკავშირის კუთვნილებაში იყო, შემდეგ მეპაიეებმა გამოვისყიდეთ, 2003-2004 წლებში დაგვიბარეს პროკურატურაში კრების ოქმი დავწერეთ, რომ ვჩუქნით სახელმწიფოს. სანოტარო აქტი არ გაფორმდა. მას შემდეგ გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, მუდმივი მოლოდინი, ვინ რას გვეტყვის. ჩვენც ვერ გვთხოვენ პასუხს, თვითონ გადასცეს ეკონომიკის სამინისტროს. ნილობრივი მონაცემებით მინა გამოსყიდული გვექონდა, მე 25%-ის მფლობელი ვიყავი, სხვა მეპაიეები 10-15%-ის. სამინისტროს ქონების მართვის სააგენტომ ბაზარი 170 000 ლარად შეაფასა და აუქციონზე გაიტანა, თუმცა არავინ დაინტერესდა. ჩვენი თხოვნით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ჯინჭარაძემ ეკონომიკის სამინისტროში გადაგზავნა წერილი.

ინფორმაციის დასაზუსტებლად თამაზ ჯინჭარაძეს დავუკავშირდით, სატელეფონო საუბარი არასამუშაო დღეს შედგა, ორპარტიანი პასუხებისთვის კვირა დღე მომიბეზება, გააგზავნა თუ არა ეკონომიკის სამინისტროში წერილი, კონკრეტულისგან თავი შეიკავა. სამუშაო დღეს დაკავშირე-

ბაზე, კი, უარი განაცხადა.

**- 8 თვის წინ გააგზავნეთ წერილი ეკონომიკის სამინისტროში?**

- არ მახსოვს. სამსახურში არ ვარ, დაზუსტებით ვერ გეტყვი.

**- სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს ბაზრის საკადასტრო კოდი ვერ მივანოდეთ, ბაზაში ინფორმაციის მოიპოვა გართულდა.**

ვინც ბაზრის გაუსაძლისი პირობები იცის, თამაზ ჯინჭარაძეს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, ყურნალისტი როდის დაუკავშირდება. მისი გალიზიანება არა ჩემმა ზარმა, არამედ საჯარო მოხელის მოვალეობის არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია.

- როდემდე შეიძლება ასეთ ვითარებაში ვიყოთ, არ გვაქვს იურიდიული სტატუსი, საკუთრება ჩვენი არ არის, ბანკი კრედიტს არ გვაძლევს, ელემენტარული პირობები რომ გავაუმჯობესოთ - ამბობს გია სიხარულიძე.

**- რა თანხაა საჭირო?**

- სულ მცირე 100 000 ლარი, 6000კვ. მეტრი ტერიტორიაზე ასფალტი უნდა დაიგოს, ან ბეტონი დაისხას.

**- თუ მეპაიეების უფლებები დაირღვა, რატომ არ დაინწყით სამართლებრივი დავა?**

- მათთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, თავისთავად უნდა მოვიდეს ამის დრო. მუნიციპალიტეტს გადასცენ, ისინი ჩვენს შემოსავლებს შეხედავენ. ამ ზამთარს ბაზარი ვერ გადაიტანს, ჩამოინგრევა და თავის ფუნქციას დაკარგავს.

ბაზარს თავისი ფუნქცია დიდი ხანია დაკარგული აქვს, აქ „გლეხის ნაწარმიც იყიდება“, აქ მანანალა ძაღლებსაც იხილავთ, ვისთვისაც კვირა დღე უფრო მომგებიანია, რადგან საქონლის ძვლები მინაზე უხვად არის დაყრილი. წვიმის დროს დაგუბებულ წყლებში ყოფნა ხალხის მდგომარეობას უფრო ამძიმებს. ჩოხატაურელები 13 წელი უშედეგოდ ელოდებიან აგრარულ ბაზარში ელემენტარული პირობების გაუმჯობესებას.

ლელა სურმავა

# ნოუ ენერჯის შაცდობა თუ გამიჯნული ქმედება



ჩოხატაურელებს სასმელად უვარგის წყალს გვანჯიან და ისიც 20 დღეში ერთხელ. ეს ტერიტორია წყალს მიაქვს, რატომ უნდა დადგან ავზი აღმართში, თან ფილტრები და წყლის საქაჩი შუა მდინარეში ჩაადგეს - წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილობრივები მუდმივად განიხილავენ, თავიანთ სახლებთან დამონტაჟებულ წყლის მრიცხველებს უშედეგოდ უყურებენ, 24-სათიანი სუფთა და გაფილტრული წყლის მოლოდინის პარალელურად დახარჯულ მილიონებზე საუბრობენ.

**- რა არის დებიტი?** - წყლის მარაგი, ექსპერტები უნდა დააკვირდნენ ერთ ნუთში რამდენი ლიტრი წყალი მოდის.

**- როდის უნდა მოხდეს დაკვირვება?** - მაისის თვეში და არა აგვისტოში, როცა გვალვების პერიოდია. ასე დაინყო მთავარი პრობლემა და ჩოხატაურელებმა აღნიშნული დებიტი - წყლის მარაგი ვერ მიიღეს. გორთაფონის სათავენაგებობიდან მომავალი მილის გადაკეტვის შემდეგ, მცირე ხნით მუნიციპალიტეტი მარაგდება წყლით, რასაც სოფელ





ხიდისთავის მცხოვრებლების სამართლიანი გაბრაზება მოჰყვება. დაინტერესდით, სად არის გორთაფონის წყლის სათავე-ნაგებობა და სოფელ ხიდისთავის ცენტრში მივედით. პენსიების გაცემის დღე იყო, წესრიგს და სიმშვიდეს პოლიციის თანამშრომელი და სოფლის წარმომადგენელი უზრუნველყოფდნენ. ადგილობრივებმა უწყლობაზე შემოგვიჩვენეს, შემდეგ ისევ თავიანთ რიგს დაუბრუნდნენ. ხიდისთავის წარმომადგენელს, ბესო ქერქაძეს გორთაფონის სათავესთან მისასვლელი გზის გაკვლევა ვთხოვეთ, მცირე ხნით თავი შეიკავა, რთული რელიეფური აღწერის მიუხედავად, გადაწყვეტილების შეცვლა ვერ შეგვატყო და გორთაფონის მამათა მონასტერთან მივედით. სწორედ, აქედან დაიწყო ჩვენი მოგზაურობა, ულამაზესი ხეობები და ბუნება, მივეყვებოდით წყლის ორ მილს, ერთი ძველი, რომელიც ხიდისთავს გაუქმეს და ახალი, რომლის მეშვეობით სოფელიც და მუნიციპალიტეტიც უწყლოდ დატოვეს. სათავე-ნაგებობასთან მივედით და ექპერტების მიერ დამკვეთულ შეცდომაში დაერწმუნდით, აგვისტოს თვეში წყლის დიდი რაოდენობა ვერ ვიხილეთ. სათავე მოვლა-პატრონობისთვის საკმაოდ მიუდგომელი ადგილია. „შე დალოცვილო, მილიონებს რომ ხარჯავ, ათი ათასი მაინც მოახმარე საქმის ნორმალურ დაწყებას“ – აღნიშნა ხიდისთავის ერთ-ერთმა მცხოვრებმა. მცირე შესვენების შემდეგ წყალუბვ ხეობას დავუყვებით და ხიდისთავში ნელ ფილტრებს მიუახლოვდით. ჩოხატაურის წყალკანალის ტექნიკური სამსახურის ხუთიოდე თანამშრომელი ცარიელ ავზებს დაჰყურებდა.

**- ეს რა ნაგებობებია?**

- პირველი მიმღები, სადაც წყალს ღებულობენ, სათავედან შემოდის და ხვდება ნელ ფილტრებში, აქ წყალი დაიფილტრება, გადადის ჭაში, სატუმბებიდან, შემდეგ წყლის რეზერვუარში, იქ იქლორება და დაქლორილი წყალი მიენოდება მუნიციპალიტეტს.

**- წყალი არცერთ ავზში არ არის.**

- გორთაფონის სათავეს შემდეგ დამატებითი სათავე მოეწყო ხიდისთავში, რომელსაც ზაფხულის გვალვის დროს უნდა ემუშავა.

**- რომელიმე შესრულებული სამუშაო ჩაიბარა საქართველოს წყალმომარაგების კომპანიამ?**

- არცერთი.

**- რატომ არ დააჯარიმა მშენებელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა პროექტის ვადების დარღვევის გამო?**



- არ ვიცი, პასუხს ვერ გაცემთ.
- მუნიციპალური განვითარების ფონდმა მშენებელი ორჯერ 200.000ლ. დააჯარიმა. ჩოხატაური პარალიზებულია, ხალხი პრეტენზიებით მოგმართავს, რას ეუბნებით?
- ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ეცხმარებით.
- როცა მუნიციპალიტეტს მიენოდება წყალი, ხიდისთავი უწყლოდ რჩება.
- თავიდან არასწორად დაპროექტდა.
- ოთხი წელიწადია ადგილობრივები უშედეგოდ ელოდებიან წყალს.

- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მუშაობს და გამოსავალს ეძებენ.

შემდეგ წყლის რეზერვუართან მივედით, ჭიშკართან გაკრული არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ეზოში თავისუფად შევედით, საქლორატორო დავათვალიერეთ და ჭაში ჩაიხიხედეთ, სადაც წყალი არსად ჩანდა.

საქართველო მტკნარი მინისქვეშა წყლებით მდიდარია, შეუცვლელი დიდი მარაგი, ასევე მაღალი ხარისხის. მინის ქვეშ ყოველწლიურად რამდენიმე ტრილიარდი დოლარის რეზერვი არსებობს. ქვეყნის ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის შესწავლისთვის უცხოელი სპეციალისტების მონავევა აუცილებელია. ვიდრე ეს პროექტი განხორციელდება, სახელმწიფომ სწორი სისტემური ხედვა უნდა ჩამოაყალიბოს. წყლის პოლიტიკის განსაზღვრამდე უწყლოდ დარჩენილ ჩოხატაურელებს იმედია მდინარე სუფსის ფეკალური მასებით და ნაგვის ნარჩენებით დაბინძურებულ წყალს არ მიანვდიან და ადგილობრივებს ახალი თავსატეხი არ გაუჩნდებათ. ჩვენ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარა-



გაგა სიხარულიძე

გების კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის უფროსს ზაზა სიხარულიძეს გავესაუბრეთ.

გორთაფონის სათავე არ არის ჩოხატაურის წყალმომარაგების სათავე-ნაგებობა, სოფელ ხიდისთავს ეკუთვნის, გორთაფონიდან წყალაღებას მუნიციპალიტეტი როგორც დროებით ღონისძიებას, ისე აწარმოებს.

**- ეს ღონისძიება არაეფექტურია, ხიდისთავს არ მიენოდება წყალი.**

- სამწუხაროდ, ტენდერში გამარჯვებული პრობლემური კომპანია აღმოჩნდა, მოხდა მისი დისკვალიფიკაცია, შარშან ამ პროექტზე მუშაობა განაზღვრა, ახალი კომპანია შემოიყვანეს, რომელსაც წინა ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა. პროექტის დასრულების შემდეგ გორთაფონის სათავე-ნაგებობა მის მფლობელს, ხიდისთავს დარჩება. ჩოხატაურს კი დამოუკიდებელი სათა-









ვე-ნაგებობა ექნებოდა, ახლა მეორე პრობლემა წარმოიშვა, როცა კონტრაქტორი კომპანია სამუშაოებს ასრულებდა, მოწყობა შიდადაქსელვა, 1100 აბონენტი დაგვემატა, რეზერვუარის რეაბილიტაცია ჩატარდა, ახალი სათავე-ნაგებობის მოწყობა, შახტური ჭის და შესაბამისი გადამტუმბი სატუმბო სადგურის მოწყობით, დასასრულს ჩოხატაურისთვის საკმარისი წყლის რაოდენობა არ აღმოჩნდა. ხარვეზიან პროექტს ექსპერტიზა გავლილი ჰქონდა და დამტკიცებული იყო. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რომელიც დამკვეთი იყო, გააგრძელა პროექტი, ბოლოს აღმოჩნდა, რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა, რაც ჩოხატაურის სტაბილურ წყალმომარაგებას გულისხმობდა. წყალმომარაგების კომპანიამ დაიწყო დამატებითი ღონისძიებების გატარება. ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაოები, მივიღეთ გადაწყვეტილება, მოვანყოთ დამატებითი წყალმომარაგების სისტემა. დამატებითი სათავე-ნაგებობის მშენებლობას ჩვენი კომპანია განახორციელებს, რისთვისაც 700 ათასი ლარი გამოიყო, 4-5 თვეში საბოლოო სახეს მიიღებს. გუბაზეულის ფილტრაციიდან წყალალბაზე უარი ვთქვით, მდინარეს არ აქვს ის ხასიათი, რომ წყლის ფილტრაცია მოახდინოს.

**- სად აშენდება სათავე-ნაგებობა?**

- ახალი სათავე-ნაგებობა მდინარე სუფსის ნაპირზე მოეწყობა, ჩოხატაური ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე. პროექტი ითვალისწინებს სამ კილომეტრამდე ახალი მაგისტრალის მოწყობას, სათავედან იმ 2000 კუბიან რეზერვუარამდე, რაც უკვე რეაბილიტირებულია და კარგ მდგომარეობაშია. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ პროექტი საბოლოო სახეს მიიღებს და ჩოხატაური 18-24 საათიან სტაბილურ წყალმომარაგებას მიიღებს.

**- მეურნეობა რომელიც პროექტის მიხედვით განხორციელდა არის გამოსადეგი?**

- რა თქმა უნდა, ეს სამუშაოები არ არის წყალში გადაყრის, რეზერვუარი ფუნქციონირებს, 1100 აბონენტისთვის ქსელი მოსაწყობი იყო, გამრიცხველიანება ცალსახად აუცილებელი ღონისძიებაა, რაც წყლის ნორმალურ მოხმარებას უზრუნველყოფს.

**- ხალხს არ აქვს იმედი, საკმაოდ პესიმისტურად არიან განწყობილი.**

- კარგად მესმის მათი მდგომარეობა, მრიცხველების თემა გამაღიზიანებელია, როცა წყალი არ აქვთ. კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდით, პროექტიდან გამომდინარე იმედიანად ვიყავით, მაის-ივნისში ჩოხატაურს კარგი წყალმომარაგების რეჟიმი ექნებოდა, მაგრამ პროექტში დაშვებული შეცდომები ჩვენი კომპანიის ბრალი არ არის. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მყისიერი გადაწყვეტილება მივიღეთ, დამატებით 700 ათასამდე ლარი გამოიყო, სამუშაოები უახლოეს პერიოდში

დაიწყება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ყველაზე რთული მდგომარეობა გვაქვს, მშენებლები გავიდნენ, ფინანსური პრობლემების გამო ვეღარ გააგრძელეს თავიანთი ვალდებულების შესრულება. მინაში დარჩა მიტოვებული მილები. ამ სამუშაოებში ჩვენ ახლა ჩავერთეთ.

**- როდის დაიწყება ახალი სათავე-ნაგებობის მოწყობა?**

- ერთ კვირაში პროექტი მზად იქნება, კონტრაქტორს გაუგრძელდება ხელშეკრულება, დაემატება ეს თანხა და სამუშაოები ავტომატურად გაგრძელდება, თავისი მოწყობით, გამოცდით, ყველა იმ წესის დაცვით, რაც სამუშაოების ხარისხიან შესრულებას უზრუნველყოფს.

**- წყლის ხარისხზე ადგილობრივები ხშირად გამოთქვამენ საყვირებს, ამბობენ სასმელად უვარგისია.**

- ჩვენ კომპანიასგურიის ცენტრი ოზურგეთში გვაქვს, ლაბორატორიაში მონმდება როგორც ბაქტერიოლოგიური, ასევე ქიმიური ანალიზები. თანამედროვე გერმანული აპარატურით არის აღჭურვილი. ამიტომ სათავე, სადაც იქნება მინისქვეშა ჰორიზონტალური დრენაჟები, საიდანაც ქსელში მოხვდება მინისქვეშა წყლები, ხარისხი გარანტირებული უნდა იყოს. წვიმის და ნალექის დროს ჩვენ ჩოხატაურს წყალმომარაგებას ვუწყვეტდით. უკვე ეს საფრთხეებიც გამოირიცხა და სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტს სტაბილურად მიეწოდება წყალი.

**- შპს „ნიუ ენერჯიმ“ ადგილობრივ ხელისუფლებას პროექტი არ შეუთანხმდა.**

- სამუშაოების დაწყებამდე პროცედურულად პროექტი ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა შეუთანხმდეს, ჩვენ როგორც კი მოვამზადებთ, გადავგზავნება მუნიციპალიტეტს, ყველა სტანდარტს დავიცვით. თუ შეთანხმებული არ იყო და სამუშაოები ისე დაიწყო, გამგეობას და საკრებულოს შესაბამისი ზომები უნდა მიეღოთ. სამწუხაროდ, სატელეფონო ზარით იღებდნენ გადაწყვეტილებას და მოკვლევით თავს არ იწუხებდნენ.

**- დღეს, არ ხორციელდება სატელეფონო ზარები?**

- მსგავსი ფაქტი არ მომისმენია. ვილაცა დარეკავდა, მიიღებდნენ, პროექტი იქნებოდა დასრულებული და ჩოხატაურს წყალი არ ექნებოდა.

სად დაუშვა შპს „ნიუ ენერჯიმ“ შეცდომა, რატომ დათვალეს დებიტი ექსპერტებმა გორთაფონის სათავე-ნაგებობაზე აგვისტოს თვეში?! მიუვალი ადგილის არსებობა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ. ასეთი მზრუნველობით გამოირჩეოდნენ ის პირები, რომლებსაც მართვის სადავეები ჰქონდათ, რის შედეგად ჩოხატაურიც და ხიდისთავიც წყალმინოდების გარეშე დატოვეს. ჩვენი ალპინისტური ტური შედეგის მომტანი აღმოჩნდა. წყლის საკითხს კიდევ მივუბრუნდებით.

ლელა სურმავა

# რატომ არ ითვალისწინებს ლანჩხუთის გამგებელი მოსახლეობის აზრს?!

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს თავისი წარმომადგენელი ჯერ ყველა ტერიტორიულ ერთეულში არ დაუნიშნავს, ცნობილია მხოლოდ 4 ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნული წარმომადგენლების ვინაობა, აქედან ორი მათგანი თვითმმართველობის არჩევნებამდეც ასრულებდა გამგებლის მოვალეობას, რაც შეეხება ორს – ახალია:

ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ისევ ირაკლი გუჯაბიძე, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა კუნჭულია, ჯურჯუყეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად ვასილ ზურძგლა დაინიშნენ, ხოლო ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად ვლადიმერ ნანაძე გააგრძელებს მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამგებლის წარმომადგენლების კანდიდატი ზოგ შემთხვევაში მოსახლეობისთვის მიუღებელია, ასეთი პრობლემა შეიქმნა სოფელ ნინოშვილში.

29 აგვისტოს ლანჩხუთის ადმინისტრაციული შენობის წინ გამგებელთან შეხვედრას სოფელ ნინოშვილის მოსახლეობა მოითხოვდა. სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, გამგებელს მათი არჩევანის გათვალისწინებას სთხოვს და სოფლის ხელმძღვანელად გიორგი თავართქილაძის დანიშვნას ითხოვდნენ:

– სოფლისთვის ყველაზე მისაღები კადრია, იცის ჩვენი პრობლემები და დარწმუნებული ვართ, მისი გადაჭრის გზების მოძიებაზეც იზრუნებს. გამგებობაში გვიპასუხეს, დიპლომი არა აქვს და ვერ დავნიშნავთ ჩვენს წარმომადგენლადო, არ მოგვისმინეს საერთოდ, დიპლომიანი რომელიც გვყავდა მან გაგვიკეთა რამე?! გამგებელი ამბობს სხვა კანდიდატიც ჰყავს. ვინ არის? ჩვენ სხვა არ გვინდა, თუ სხვა მოვა, კარებს ავუჭყედავთ და არ შევუშვებთ – აცხადებენ ნინოშვილები.

– გიორგი თავართქილაძე ჩვენი სოფლის მკვიდრია და გვეჯერა, ჩვენს პრობლემს გადაჭრის. გამგებელმა არც კი მიგვიღო. ამ წუთას ქვემოთ იყო ჩამოსული და არც კი მოგვისმინა, რომ დაგვინახა მანქანით ლამის გადავგვიარა ისე სწრაფად წავიდა – აცხადებდა გამგებობასთან შეკრებილი მოსახლეობა.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენ კომენტარი გამგებლის მოადგილეს, ვახტანგ ზენაიშვილს ვთხოვეთ:

– მოსახლეობის ნაწილს სურვილი აქვს შეხვედეს გამგებელს, მაგრამ ის არ იყო და ელოდებიან. გამგებელი სწორედ რომ წარმომადგენლების დასანიშნადაა ნაბრანეული სოფლებში. რაც შეეხება ნინოშვილის თემას, ადგილობრივების მოთხოვნაა, გამგებელმა მათთვის სასურველი კანდიდატი დანიშნოს წარმომადგენლად. მქონდა მათთან საუბარი და ავუხსენი, რომ კანონით გამგებელს გააჩნია სრული პრეროგატივა, რომ თავისი წარმომადგენელი სწორედ მან დანიშნოს, ის არის მისი წარმომადგენელი სოფელში და იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც აქვს სოფელს და ვფიქრობ, რომ ეს არის ნორმალური. დღევანდელი კანონმდებლობა სწორედ ამას ითვალისწინებს. რაც შეეხება სოფლის მოთხოვნას, რომ მათი კანდიდატურა უნდა დაინიშნოს, არც ეს იქნება ურიგო, გამგებელმა გაითვალისწინოს მათი აზრი, შეაჯეროს სოფლის მოსახლეობასთან, მაგრამ იქ მარტო ერთი ჯგუფი არაა, სხვა ჯგუფიც არის,



რომელთაც აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვთ. ამან შეიძლება უმართავი პროცესები გამოიწვიოს, ყველა სოფელმა თუ მათთვის სასურველი კანდიდატის დასანიშნად იბრძოლა, ეს კაცმა არ იცის სადამდე მიგვიყვანს. მაშინ უნდა იყოს არჩევითი წარმომადგენელი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღევანდელი კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, მათ გამგებელთან უნდათ შეხვედრა და როგორც კი დაბრუნდება, ალბათ მაშინვე გადაწყდება ეს პრობლემა.

### – გიორგი თავართქილაძე გამგებლისთვის მისაღები კანდიდატი არ არის?

– ვერ გეტყვით, არ ვარ საქმის დეტალებში ჩახედული, შეიძლება კი იყოს, თუმცა გამგებელს აქვს ასეთი პოზიცია, რომ სასურველია უმაღლესი განათლებით იყოს თავისი წარმომადგენელი დანიშნული, ეს ერთ-ერთ მოთხოვნად მიაჩნია, რაც ვფიქრობ მართებულია.

### – გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, კიდევ რა კრიტერიუმებით არჩევთ გამგებლის წარმომადგენელს სოფლებში?

– უნდა იყოს კომუნიკაბელური, სოფელში ავტორიტეტიც ჰქონდეს, ეს კითხვები ძირითადად ბატონ ზაზას ეხება და ალბათ მას უნდა ჰკითხოთ. გარდა ამისა ეკითხება გარკვეულ ჯგუფს, პოლიტიკურ პარტიებს, სოფლის დეპუტატს და ამის შემდეგ მიიღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, უფრო სწორად მისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას.

### – მოსახლეობის აზრს არ ითვალისწინებს?

– მოსახლეობის აზრი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ეს აზრი უნდა გამოხატოს სხვანაირად, ვფიქრობ აუცილებელია კანონის დაცვა, რომელიც უნდა დაიცვას მოსახლეობამ, ასევე ხელისუფლებამაც. მოსახლეობა თავის აზრს მხოლოდ არჩევნების შემთხვევაში გამოხატავს. გამგებელს აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება და ჩემი აზრით მოსახლეობა ასეთ საჯარო განხილვებში არ უნდა ერეოდეს, ამის აუცილებლობა არ არის.

### – გამგებლის წარმომადგენელი უკვე ყველა სოფელში გაყოფ?

– კანდიდატები უკვე ყველა სოფელშია მოაზრებული. ბევრ სოფელში ცვლილება არ მომხდარა. მაგრამ უმჯობესია ამ საკითხზე გამგებებს დაელაპარაკოთ, ვინაიდან ის იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით – გვითხრა გამგებლის მოადგილემ ვახტანგ ზენაიშვილმა.

ნინო ონიანი



# ქვყუნის სიყვარულს საქპიტი ბაპოხაუტაჰს

ყურნალი გურიი REGION-ი დაინტერესებული რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით. დანერგილი ინოვაციების შესახებ მკითხველს არაერთხელ მოვუთხრობთ. ჩვენ პირველები აღვწერთ შეკვეთილში ახალი პროექტის დანყებას. ხშირად მოგვისმენია, ბიზნესმენს განსხვავებული მენტალობა აქვსო, მაგრამ გამონაკლისიც არსებობს. არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც იშვიათად მოიძებნება ადამიანი, ვინც ყველა იდეის რეალიზებას თავის სამშობლოს დაუკავშირებს. ბიზნესმენს და მეცენატს ბიძინა ივანიშვილს ასეთი ტაქტიკით ქართული სახელმწიფო მაღალ საფეხურზე აჰყავს, მას ახალ სიცოცხლეს უბრუნებს.



ბიძინა ივანიშვილი

შეკვეთილის ტერიტორიაზე დიდი შენობა შევნიშნეთ, ქამელეონივით გარდამავალმა ფერებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. ევკალიპტის ტყეს მივუახლოვდი და აჭარა-გურიის რეგიონში მშენებლობის უფროსს, ამირან გეგიძეს გავესაუბრე.

**- რისი მშენებლობა მიმდინარეობს?**



ამირან გეგიძე და ნანა გოგოლაძე

- აქ გრანდიოზული საკონცერტო დარბაზის მშენებლობას 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი და დღემდე მიმდინარეობს. საზაფხულო დარბაზის მდებარეობა ზღვასთან ახლოს გადაწყდა. საამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გამართვა-ინსტალაციის პროცესი დაიწყება. 2015 წლის ზაფხულში დარბაზი გაიხსნება და კონცერტი გაიმართება.

**- ვინ შეარჩია ეს ადგილი?**

- ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, მას ძალიან უყვარს ევკალიპტის ტყე. პროექტს ის აფინანსებს. საკონცერტო დარბაზი ამფითეატრის მსგავსია, მას

სამი შესასვლელი აქვს, საიდანაც ხალხი ნანილდება. შენობის ირგვლივ მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს. სამშენებლო ფირმა ელიტა ბურჯი სახურავის ლითონის კონსტრუქციაზე მუშაობს, მოძრავი სახურავი, რომელიც გაიღება და დაიკეტება. შენობას ხუთი დეკორატიული ფანტანი აქვს. საკონცერტო დარბაზის მართვის სისტემების შენობა დასრულებულია, ირგვლივ კეთილმონყობის სამუშაოებს აწარმოებენ, საკონცერტო დარბაზის მარჯვნივ, ავტოსადგომზე ასფალტის დაგება მიმდინარეობს.

**საკონცერტო დარბაზის მასშტაბურ პროექტზე ასოციაცია „ატუს“ გენერალურმა დირექტორმა კარლო ლეკვიშვილმა მოგვითხრო.**

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ 1995 წელს ბიძინა ივანიშვილმა დაარსა და მთავარი დამფინანსებელი ის არის, 2006 წლამდე მხოლოდ ობიექტების დამკვეთი იყო, 8 წლის მანძილზე სამშენებლო სამუშაოებს „ატუს“ ასრულებს. შემდეგ



კარლო ლეკვიშვილი





ობიექტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაცემით საჩუქრად. ფონდის მიერ ფინანსდება კულტურის, განათლების, ისტორიული ძეგლების, სპორტული და ჯანდაცვის ობიექტები. 2014 წლამდე ფონდის მიერ დაფინანსებულ სამუშაოებში 3,5 მილიარდი ლარია დახარჯული, 99%-ი ბატონი ბიძინას პირადი თანხაა.

**- გურიის რეგიონზე საუბარი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესოა.**

- შავი ზღვის ზოლის ეკოლოგიური გაჯანსაღებისთვის დაინეგა დასუფთავების სისტემა, გაკეთდა ნაგავსაყრელი, მომსახურე პერსონლი უზრუნველყოფილი იქნა ხელფასით, უნიფორმით, ნაგვის მანქანებით. შემდეგ ნაგავსაყრელი, მანქანა-მექანიზმები და სატრანსპორტო საშუალებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადავეცით საჩუქრად.

ურეკში პარკი ციციანთელა 11 ჰექტარზეა გაშენებული, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის ატრაქციონები ბავშვებისთვის, ასევე ექსტრემალური ტიპის ატრაქციონები დიდებისთვის. 65 მეტრის სიმაღლის პანორამული ბორბალი, წყლის ატრაქციონები, კარტინგის ტრასა, სიცილის სახლი, საშინელებათა სახლი, კომპიუტერული თამაშებისთვის განკუთვნილი ორი შენობა, შადრევანი, ჩანჩქერი, ორი კაფე პიცერია, ყავის სახლი, ბოულინგი და სხვა. პარკს ორი შესასვლელი აქვს, თავისი ავტოსადგომებით, სულ 3000 მანქანაზე. პროექტის განხორციელებაში 65 მილიონი ლარი დაიხარჯა.

**- საკონცერო დარბაზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია შესული.**

- საერთაშორისო სტანდარტის მქონე საკონცერტო დარბაზის მშენებლობის იდეა ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. გერმანულმა საპროექტო ორგანიზაციამ „დრაი არხიტექტმა“ მოამზადა. ყველაზე მისაღები კონცეფცია შემოგვთავაზეს. 4 ჰექტარ მიწის ფართობზე, სადაც მშენებლობის დაწყებამდე ქაობი იყო დავაშრეთ. ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმროს მშენებლობა დაიწყო, რომელიც მომავალი წლის ზაფხულში გახსნება.

**- თვალშისაცემია შენობის გარე ფასადი, ქამელონით გადრამავალი ფერები.**

- გარედან გარსაცმი ლითონის კონსტრუქციები აბჯარივით აკრავს, ვერტიკალური შტორის მსგავსი ლამელები 3 მეტრი სიგანის და 15 მეტრი სიგრძის არის, რომლებიც იღება და იკეტება. შიგნით ჩამონტაჟებულია განათების მოწყობილობები და ღამე სხვადასხვა ფერებზე ანათებს. ახლა დროებით რეჟიმშია ჩართული, შემდეგ არქიტექტორებთან შევათანხმებთ. საკონცერტო დარბაზს ანალოგი არ მოეძებნება. 8000 მაყურებელს დაიტევს. ტრიბუნების ქვეშ, 4 კინოთე-



ატრი, 2 რესტორანი და რამდენიმე კაფე მოეწყობა. როცა შემოდგომაზე მობრძანდებით, აქ დარგულ ხეებს დათვალიერებთ. საკონცერტო დარბაზს ექნება საკუთარი სატელევიზიო სადგური, საიდანაც პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდება. გახმოვანება და განათება სონის, პანასონიკის და ფილიპსის ტექნიკით მოეწყობა. გრანდიოზული კომპლექსის მშენებლობაში 200 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

**- ასეთ მასშტაბურ პროექტს, ბუნებრივია, დიდი დატვირთვა აქვს.**

- ჩვენი მიზანია შეკვეთილში საერთაშორისო დონის ფესტივალი ჩატარდეს, ევროვიზიის მსგავსი. დარბაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ განაცხადს შევიტანთ და ევროსტანდარტის სერთიფიკატს მოვიპოვებთ.

**- გურიის რეგიონში ინვესტიციის განხორციელება რთულ ეკონომიკურ ვითარებას შეცვლის.**

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შევა ქონების და მიწის გადასახადი. ატრაქციონის პარკში 50-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. საკონცერტო დარბაზს 300-მდე მომსახურე პერსონალი ესაჭიროება. აქ ადგილობრივები დასაქმდებიან. შეკვეთილის ტერიტორიის განაშენიანებაში ჩვენ პირველებმა მივიღეთ მონაწილეობა. იმედია, სხვა ინვესტორებიც დაინტერესდებიან და ამ ადგილს განავითარებენ.

საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ევკალიპტების ტყეში მოეწყობა თემატური პარკი, რომელშიც 50-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მაკეტი განთავსდება, უცხოელ სტუმრებს დათვალიერების შემდეგ თუ მოგზაურობის სურვილი გაუჩნდათ, მაკეტთან ადგილმდებარეობა მითითებული იქნება. ეს ბატონი ბიძინას იდეაა და ფონდს მისი განხორციელება დაგვავალა.

**- 2012 წელს გამოიცა ილუსტრირებული ალბომი საქმით ნათქვამი, სადაც ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებებია აღწერილი. შეუძლებელია სრულად ჩამოვთვალოთ.**

- არ არსებობს სფერო, სადაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქველმოქმედება არ განახორციელა. რესტავრაცია და გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 534 ტაძარსა და ძეგლს. აშენდა თბილისის სამების საკათედრო ტაძარი. ქართული ჯარი, საპატრულო პოლიცია, ოპერისა და ბალეტის თეატრი, ჯ. კახიძის მუსიკალური ცენტრი, რუსთაველის თეატრი, ფილარმონია, მარჯანიშვილის თეატრი, ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდმეყურებელთა თეატრი, მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრი, მარიონეტების, მუსიკისა და დრამის თეატრები, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამო-







ლანჩხუთის „გუბიის“ ადმინისტრაციული შენობა და სტადიონი



ში, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი ბაღდათში, თეატრის კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი, იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ურეკის საკონცერტო დარბაზი. დაფინანსდა ფესტივალები, მწერლებისა და მხატვრების პროექტები, სხვადასხვა ანსამბლები. ჟურნალი დილა, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბოტანიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი, პირველი კლასიკური გიმნაზია, ფრანგული სკოლა, რეგიონებში აშენდა, რესტავრაცია ჩაუტარდა, წიგნებით და ავეჯით მომარაგდა 35 სკოლა. სოფელ საბუისა და სოფელ წილკანის ბაგა-ბალები. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო, ბორითის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკა, ურეკის სასწრაფო დახმარების ცენტრი, სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი წილკანში, სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი. მისი ინიციატივით სოფლის მეურნეობის დახმარებისთვის მილიარდიანი ფონდი შექმნა, სადაც სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება. ბორჯომის პარკი, ძველი დელფინარიუმის ადგილზე აშენდა ახალი დელფინარიუმი, რომელიც 700 მაცურებელზეა გათვალისწინებული, 25 ადგილი ინვალიდი მაცურებლისთვის არის გამოყოფილი. ბათუმის აკვარიუმი, პრომეთეს მღვიმე, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ახალგაზრდობის პარკი და ზოოპარკი, ურეკის და ქობულეთის პლაჟების მოწყობა, ურეკის კულტურის სახლი, შადრევანი ქუთაისში (კიკვიძის ბაღი), კინოთეატრი ბაკურიანში, მის მიერ დაფინანსდა სპორტული ფედერაციები და კლუბები-შეგარდენის ბაზა, სტადიონი ავჭალაში, ასპინძის რაგბის ბაზა, მარტყოფის სპორტული ბაზა, რუსთავის რაგბის ბაზა, ბათუმის რაგბის სტადიონი, დიდი დიღმის რაგბის სტადიონი, ქუთაისის სარაგბო კომპლექსი, სათხილამურო კომპლექსი ბაკურიანში, საფეხბურთო ბაზა ბასა. არაერთი სოციალური პროექტი, სამედიცინო კომპლექსი და სასტუმრო საჩხერეში, რიტუალების სასახლე, კულტურის სახლი და კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, გზები და ხიდები, დახურული საცურაო აუზი, სტადიონი. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს რთული ეკონომიკური ვითარების დროს მატერიალური დახმარება აღმოუჩინა.

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება ქრონოლოგიურად მხოლოდ იმ მოტივით ჩამოვთვალეთ, რომ თითოეული ადამიანი დაფიქრდეს და ვინრო მერკანტილურ ინტერესებზე წინ ქვეყანა დააყენოს. იმედს ვიტოვებთ, მეცენატის საქმიანობა საქართველოში და საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენებისთვის მისაბადი იქნება.

ლელა სურმავა





დელფინარიუმი



6 მისიის პარკი



მეფანეთი მღვი



6 მისიის პარკი



8 მისიის პარკი





# ციცინათელა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეკვეთილში ციცინათელებმა ღამით გამოანათეს. მოზარდების ყურადღება მიიპყრეს და ატრაქციონებზე მიიპატიჟეს. პარკში ხალხმრავლობა იყო, ყველა ასაკის ბავშვი ვნახეთ, თანამედროვე სტანდარტების ევროპული ატრაქციონებიდან 8 საბავშვო, 17 საოჯახო და 11 ექსტრემალურია. სათამაშო ავტომატების ორი დარბაზი და ბოულინგი. ციცინათელები ბავშვებს ღამაზე ადგილებში მეგზურობას უწევდნენ, საოცრებათა სამყაროში მათ ემოციებს იზიარებდნენ. თავს პანორამული ბორბალი დაჰყურებდა, რომელიც დინჯად მოძრაობდა, სიმალიდან ციცინათელები მკრთალად მოჩანდნენ, თანდათან ზღვისა და ხმელეთის პანორამა იშლება, შეკვეთილის ღამაზე ადგილები სათანადოდ არ არის განაშენიანებული. ბორბალი ქვემოთ მშვიდად ეშვება, ციცინათელებმა გამოანათეს, თუმცა ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევდნენ, ბავშვებს თავს ევლებოდნენ და სხვადასხვა ატრაქციონზე ეპატიჟებოდნენ.











მასაონი ტურა



# ასკანა ერთი დიდი ოჯახია

ასკანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელს სამხრეთით მდინარე გულეფა ჩამოედინება. მისი სახელწოდება ერთი ვერსიით უკავშირდება ღვინის ღმერთ ბახუსის შთამომავალს, ენასის ძე ასკანოსს. ამ მოსაზრებას სიტყვების – ასკანისა და ასკანოსის მსგავსება ამყარებს. ერთ-ერთი ხალხური სიმღერის მიხედვით ყურძნის მოსავლის მფარველი ღვთაება – აგუნას ადგილსამყოფელი ბახვი და ასკანა იყო. სხვა ვერსიებიც არსებობს, სოფლის სახელწოდება ასკანის ციხეს უკავშირდება, რომელიც „ასი კანის“ გამოცვლის, სიძველის გამო ეწოდა. ასეთი ლეგენდაც არსებობს, გურიაში გავრცელებული ეპიდემიის დროს ჯანმრთელი მხოლოდ ამ სოფლის მოსახლეობა დარჩა. ამიტომ მათ ასკანიანები უწოდეს. კიდევ ერთი ვერსიით, ადგილობრივები მეფუტკრეობას მისდევდნენ და სახელწოდების ფუძე არის სიტყვა – სკა.

გურიაში დაგეგმილი ინოვაციის შესახებ ჟურნალმა გურია REGION-მა მედიასივრცეში პირველმა მოამზადა ვრცელი ინტერვიუ კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელ ზურაბ ჩხაიძესთან – ქვეყნის ეკონომიკა ერთად უნდა ავაშენოთ, საქართველო ჯერ ჩვენთვის იყოს საინტერესო, შემდეგ სხვებისთვის. რაც ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც.

სიახლეების მუდმივი ძიება ყველა სფეროს საინტერესოს ხდის. მით უფრო თუ აგუნას ადგილსამყოფელში, ასკანაში ანთიმოზ ჩხაიძის მარანში გურული მეღვინეობის მუზეუმი გაიხსნება. ამ სოფელში საზოგადო მოღვაწის სოლომონ ჭეიშვილის მადლი ტრიალებს. მან მეღვინეობის მიმართულებით ჭეიშვილის ვაზიც გამოიყვანა. მეცენატმა შექმნა თეატრი, დაარსა ამბულატორია, საგანმანათლებლო სფეროში აქტიურად მოღვაწეობდა. ანთიმოზს და სოლომონს მცირე ტიპის მარანი ჰქონდათ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ საპორტო ქალაქში, ბათუმში ჰყიდდნენ ღვინოს. ასეთი ისტორიების მოსმენის შემდეგ, ალბათ, ღვინის ღმერთის, ბახუსის შთამომავალის, ენასის ძე ასკანოსის ვერსიას ყველაზე მეტად აქვს არსებობის უფლება. ლეგენდები ყოველთვის გამორჩეულ ადამიანებზე იქმნება.

გურულ სოფლებში სადღესასწაულო აღევრობას აღნიშნავდნენ, ხალხი ტრადიციულ ღონისძიებებს მართავდა. სიმღერები, სხვადასხვა თამაშობები და სოფლის შემაკავშირებელი დღეობა, სადაც ყველა მხიარულობდა.

### 30 აგვისტო სახალხო დღესასწაული ასკანოა.

მაცხოვრის ამალღების ეკლესიის წინამძღვარმა მამა ანდრია მამულაშვილმა დილით წირვა-ლოცვა აღავლინა. სასულიერო პირებმა სტუმრებს ტრაპეზით უმასპინძლეს. სოფლის ცენტრში სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გაიმართა. ასკანელმა ფეხბურთელებმა მზიანის ნაკრები დაამარცხეს. ერთმანეთს ნარდის მოთამაშეებიც შეეჯობნენ. დღესასწაულს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე, გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჟურნალისტებმა წყალმომარაგების მიმდინარე სამუშაოები დავათვალიერეთ, ერთ თვეში ასკანას და მიმდებარე



მაცხოვრის ამალღების ეკლესია







გუბამ ჩხაიძე და ბექამ ჩანუყვაძე

სოფლებს წყალი მიეწოდებათ. მომავალ წელს დაიგება გზა. შემდეგ Roial ასკანას ტერიტორია მოვინახულეთ. დატვირთული დღის მიუხედავად, ზურაბ ჩხაიძესთან გასაუბრება მოვახერხეთ.

დღესასწაულზე სიახლეებს ვამკვიდრებთ, 5 წლის წინ ყოველ ახალშობილ ასკანელ ბავშვზე 200 ლარის ერთჯერადი დახმარება დავანესეთ, ჩვენი მიზანია სოფლის დემოგრაფიული ვითარება გაუმჯობესდეს, ასკანა არ დაიცალოს. 2014 წლიდან ოჯახს ყოველ მეხუთე ბავშვზე 200 ლარის ნაცვლად, 500 ლარს გადავცემთ. 2-3 წელიწადში სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**– ასკანაში ღვინის მარნის მშენებლობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.**

– საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი პროექტია, ღვინის მარანი და სასტუმრო ერთ შენობაში განთავსდება.

**– რა სიახლეებით გამოირჩევი?**

– მარანს პრემიუმ კლასის ღვინის მისაღებად ვაშენებთ. უმაღლესი სტანდარტის მქონე პროდუქტის შესაქმნელად ფრანგულ და იტალიურ ტექნოლოგიას ვნერგავთ. ჩხავერის ჯიშის ყურძენს ბუნებრივი გაზი გააჩნია და ის საუკეთესო საშამპანურე მასალად ითვლება. გვსურს, ტრადიციული მეთოდით დავამზადოთ და საშუალოდ, წლიურად 20 000 ბოთლი ჩამოვასხათ. დასავლური ყურძენის ჯიშებიდან – ჩხავერისა და ცოლიკაურისგან, სპირტს გამოვხდით და მუხის კასრებში დავაძველებთ, საიდანაც საშუალოდ 4000-5000 ბოთლ კონიაკს მივიღებთ და ეს იქნება ბაზრისთვის აბსოლუტურად ახალი პროდუქტი, რომელიც პირველ რიგში საქართველოში გაიყიდება, ტურისტი ადგილზე დასაგემოვნებლად უნდა მოვიზიდოთ.

**– პროექტების მშენებლობაზე უმეტესად სხვა რეგიონიდან ჩასული ხალხია დასაქმებული.**

– ჩვენ ტექნიკური პერსონალი გვესაჭიროება, რატომ არ უნდა გავზარდოთ ასეთი ახალგაზრდები ასკანაში და მის მიმდებარე სოფლებში?! ოჯახს შემოსავალი გაუჩნდება, მათ შვილებს მოვლილი სკოლა და ბაღი უნდა ჰქონდეთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით საინტერესო პროექტების დაწყებას ვგეგმავ – მასწავლებლების დონე უნდა ამაღლდეს, ბავშვები ინგლისურ ენას კარგად დაეუფლონ. რა მიმართულებით სურთ პედაგოგებს დახმარება, ჩვენ აუცილებლად მოვუწყობთ. 2015 წლიდან სკოლებში სამეურვეო საგნების სწავლება, კარგი ინიციატივაა, რის შედეგად სოფელი გადარჩება. ხის სანარმოში 30-40 სამუშაო ადგილს ვაცხადებ, კადრები დღესვე გვესაჭიროება. მოენყოფა ეკოტურები, ჯგუფს თითო გიდი მოემსახურება. ტურისტს ზღვიდან ამფრენით აიყვან ასკანაში, ერთ საღამოს იქ გაატარებს, შემდეგ ბახმაროს მთებში წაიყვან. თქვენ უკვე დაათვალიერეთ, ფუნდამენტის მოჭრის შემდეგ 4-5 თვეში რამდენი სამუშაოა შესრულებული, როგორც ამბობენ, მშენებლობა წელში გადატყდა. უფრო მეტი დრო და ყურადღება დიზაინს დასჭირდება. მშენებლობაზე ადგილობრივები არიან დასაქმებული, სოფელს შემოსავალი გაუჩნდა.

**– გურიის სამივე მუნიციპალიტეტში მძიმე სოციალური ფონია. რა ეტაპზეა ჩოხატაურში და დვბაზუმში ხილის გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობის საკითხი?**

– თქვენი ჟურნალის მკითხველს შევასხენებ, ჩვენი



ღვინის ბუჩქები, სამშენებლო სამუშაოები



დაპირება ძალაშია. ჩოხატაურში ისევ ის ადგილი შევარჩიე, მინა დავაპატარავე, რადგან უმჯობესია ეს თანხა წარმოების განვითარებას მოხმარდეს. გარკვეული პროცედურის გავლა იყო საჭირო, როგორც კი ახლად არჩეული საკრებულო შეიკრიბა, საკითხი მეორე სხდომაზე გაიტანეს, ჩატარდა აუქციონი და აგვისტოსთვის დასაწყისში შევიძინე. დარეგისტრირდა იურიდიული პირი - KTW – აგროჩოხატაური. მადლობას ვუხდით ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს თემურ ჭკუასელს და გამგებელს ირაკლი კუჭავას. ხილს უკვე ეყოლება პატრონი, ასეთი მშენებლობები საქართველოს ყველა რეგიონში არის დაგეგმილი. ოზურგეთში და ანასუღლშიც მსგავსი პროექტი განხორციელდება. ჩოხატაურის ქარხნის მშენებლობა სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყება და სამ თვეში დასრულდება. სამწუხაროდ, საქართველოში ხილის წარმოების რესურსი არ გვაქვს, მანქანა-დანადგარების მოძიებისთვის თვეები დავგჭირდა, შემდეგ ტექნოლოგიების ციკლი ერთმანეთს უნდა აფუნყოთ. ყველა ხილის გადამამუშავების საშუალება გვექნება, ჩვენი ჯგუფი დააკვირდება და მომდევნო წლები უკეთესი იქნება. მადლობას ვუხდით სოფლის მეურნეობის სააგენტოს. არ გვაქვს სხვადასხვა ხილის ციფრობრივი და ჯიშობრივი მონაცემები. მიუხედავად ამისა რეინვესტირებას გავაგრძელებთ, ვფიქრობ, მომავალი წლიდან ნაყარი ხილის პრობლემა მოგვარდება. მოვანყოთ სახდელს და ხილს ადგილზე ჩავიბარებთ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიმართ დიდი პატივისცემით და სიყვარულით დავინყეთ ეს პროექტი. წარმოებაში ადგილობრივები დასაქმდებიან და შემოსავალი გაუნდებათ.

**- ასკანის დიდი ოჯახის ერთ-ერთი ღირსეული წევრი გოჩა ჩხაიძის მეუღლე, პრიმა ბალერინა ირმა ნიორაძეა.**

- ამ მინაზე როცა პირველად დავაბიჯე ფეხი და მეზობლები გავიცანი, დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ხალხია, არცერთი კუთხე არ მინყენს, გურულმა პოლიფონიამ საოცრად მომაჯადოვა, ყოველთვის მიკვირდა, როგორ ასრულებენ მრავალხმოვან სიმღერას. იმერელი ქალბატონი გურიიზე უზომოდ შეყვარებული ვარ.

**- ბუნებაში ყოფნა გიყვარს თუ მეუღლის გავლენაა?**

- სურვილი გამიჩნდა, ასკანაში არა ერთი კვირით, უფრო მეტი დროით დამესვენა. სულ მაინტერესებდა ამ მთის იქეთ (მთას ამ გორას ვეძახი, სადაც ახლა სახლი დგას) რა იყო. ამოვედი და დავათვალიერე. აქ ისეთი მიკროკლიმატია, ფორმას კარგად ინარჩუნებ, ესპანეთში გასროლებზე წასვლამდე ერთი თვე მქონდა დარჩენილი, არ ვიცოდი, როგორ შევინარჩუნებდი ფორმას, მეგობრებმა 15კვ.მ.-ის ოთახში ბალეტის ძელი დამიყენეს და დავინყე მეცადინეობა. გასტროლებზე ჩასულს ცეკვა გამიადვილდა. სხვა ქვეყნებში ჩასულს, ადაპტირებაში ასკანა დამეხმარა, მას შემდეგ ეს ადგილი განსაკუთრებით შემეყვარდა.

**- ამიტომ გადანწყიტთ აქ სახლის აშენება?**

- ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ინვესტიცია ჩაგვედოთ თუ არა, სიმწვანეში სულიერად ვმშვიდდები, დაძაბული ცხოვრების რიტმის შემდეგ განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ყველა აივნისგან ლამაზი ბუნება და მთები მოსჩანს. შარშან ზამთარში პატარა ნაძვი მომიტანეს,



ჭუბამ ჩხაიძე და ირმა ნიორაძე







რომელიც უკვე გაიზარდა, მეორე ნაძვი ჩემს მეუღლეს, გოჩას ვაჩუქე.

**- ნაძვზე უცნაური ფორმის ყვითელ ფურცლებს ვხედავთ.**

- გულები დავაბნიე, მაგრამ წვიმამ ფორმა დაუკარგა.

**- დროის რა ინტერვალში ხარ ასკანაში?**

- ჩემი განრიგი დაუგეგმავია, ახალ წელსაც შევხვდით ჩვენს სახლში. გოჩა კრეატიული ადამიანია, რასაც აქ ხედავთ, მისი იდეაა. პროფესიით მეღვინეა, თუმცა ძალიან კარგად ხატავს. ბალეტშიც ერკვევა, ლონდონის ალბერტ ჰოლში გრანდიოზული სალამოს ორგანიზება მან მოაწყო. იქ სცენა არ არის, მრგვალი შემადღებელი ადგილია, მოიფიქრა და დირიჟორი უკან დასვა, მოტორიანებული იყო და ზურგის მხარეს მხედავდა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ვკითხე - თუ იგრძნო დისკომფორტი? საოცარი პასუხი მივიღე - შენი მეუღლე გენიოსია, ასე კომფორტულად არსად მიგვრძნია თავი. განათებას გოჩა აყენებს, ბალერინამ შეიძლება კარგად იცეკვოს, მაგრამ ცუდი განათების გამო, არ გამოჩნდეს.

**- როგორ ირმა ნიორაძის მეუღლე იყო?**

- ის ჩემი ცხოვრების თანამგზავია, მან იცის რა მჭირდება, ასევე მეც ვიცი, მას რა სჭირდება. სახლში მეუღლე და დედა ვარ. სცენაზე, კი, ის პიროვნება, რომელიც მარტო მაყურებელს ეკუთვნის. ყოველთვის ხელს მინყობს, მის თანადგომას ვაფასებ. ხშირად აღნიშნავს - ჩემა საქმიანობას დავაკელი, მაგრამ შენთან ერთად ბევრი შევიძინე, ცხოვრება სულ სხვა კუთხით დავინახე. ბრაზილიაში დონ კიხოტის პარტიას ვცეკვავდი, გენერალური რეპეტიცია გავიარე, სახლში წავედი, სალამოს სხვა ბალერინას უნდა ეცეკვა, მაგრამ მოინამლა, ნახევარი საათით ადრე დამირეკეს, მითხრეს - თქვენ უნდა იცეკვოთო. ჩავიცვი და ვიცეკვე. გოჩამ მითხრა - ნუ გეშინია, დარბაზში ვიქნებით, ის ჩემთან ერთად განიცდიდა. პარიზში გასტროლების დროს მასაჟისტი არ ჰყავდათ წამოყვანილი, სპექტაკლებში ზედიზედ ვმონაწილეობდი, მან უკვე იცოდა სხეულის რომელი კუნთი მქონდა დაღლილი, სასწარაფოდ სმოკინგი გაიხადა და დამწოლი მასაჟი გამიკეთა. ყოფილი რეგებისტია, ხშირად მეკითხებიან - როგორ შეიძლება რეგებისტის და ბალერინას ტანდემი შედგეს? ჩვენი ტანდემი დიდ სიყვარულზე არის დაფუძნებული.

**- ხელოვანი სხვის შემოქმედებას განსაკუთრებით აფასებს.**

- ვიხილე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „გურია“ წარმოდგენა. საუკეთესო ქორეოგრაფი ჰყავთ, ყველაზე კარგად ვიცი, ბავშვებმა როგორი შრომის ფასად მიაღწიეს ამ წარმატებას. წინასწარ არ მიყვარს საუბარი, ამ საიდუმლოს თქვენ გაგანდობთ. გოჩას ვუთხარი, ბავშვებს საგასტროლო ტურნე დაფუფინანსოთ, მივენდოთ უფალს.

პრიმა ბალერინა ასკანელი მეზობლების საყვარელი რძალია. მას ხშირად სტუმრობენ, სხვადასხვა თემაზე საუბრობენ. ირმა ნიორაძე უცხოეთში გასტროლებზე დადებითად დამუხტული მიდის, შემდეგ ისევ ასკანას უბრუნდება და თავისი აივნებიდან თვალუწვდენელ მთებს უყურებს, ყველაზე ბედნიერი და მშვიდია, რადგან აქ დიდი ოჯახი ელოდება.

ლელა სურმავა



# სტიქია ბახპაროში

19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაულზე და ტრადიციული დოღის დროს გურიის რეგიონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამაშველო ბრიგადა მობილიზებული იყო. ძლიერი წვიმის შედეგად ბახვის წყალი ადიდდა, უეცრად მოვარდნილმა სტიქიამ ავტომანქანა მძლოლთან ერთად წაიღო, მაშველებმა გიორგი გოგეშვილმა, გიორგი კალანდაძემ, გელა დუმბაძემ საპატრულო ეკიპაჟის ერთ-ერთ თანამშრომელთან, ვახტანგ ბოლქვაძესთან ერთად მძლოლი ავტომანქანიდან გამოიყვანეს. **საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მათ სხვისი სიცოცხლე გადაარჩინეს, მაშველების პროფესია ასეთ გამართლებულ რისკს შეიცავს** – აღნიშნა რეგიონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნესტორ რამიშვილმა.



## სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის შეუსაზღვრო უმოკლესი ვადა შენობა



ავთანეილ ვახაძე

**ყურნალის მკითხველებს დავპირდით, შევისწავლით თუ რა ვითარებაა გურიის სამივე მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურში. 90-იანი წლებიდან სახანძრო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ყოფილ ბავშვთა საავადმყოფოშია განთავსებული.**

თქვენ ხედავთ, თუ როგორ პირობებში უწევთ მესხანძრეებს ყოფნა. რამდენიმე ოთახი გვაქვს, ერთი საძინებელი, ერთი ყოველდღიური, ორი კაბინეტი. ქვედა სართულზე

სპეცტექნიკა და სპეციალურვილობა გვაქვს, რასაც სინესტე აზიანებს. შენობა ამორტიზებულია, უნდა გარემონტდეს და გადაკეთდეს, ან ახალი აშენდეს – ჩვენთან საუბრის დროს აღნიშნა სამსახურის უფროსმა ავთანდილ ვახაძემ.

**– რა დროიდან არის ეს სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში?**

– 90-იანი წლებიდან საქართველოს მასშტაბით სახანძრო სამსახურები ადგილობრივ თვითმმართველობებს დაუქვემდებარეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს.

**– 24 წელიწადი საკმაოდ დიდი დროა, შეიძლება ითქვას ადგილობრივმა ხელისუფლებამ ელემენტარული პირობები ვერ გააუმჯობესა.**

– ეს არ არის ტიპიური სახანძროს შენობა, არ აქვს ფარეხები, წყლით სავსე მანქანა ზამთარში არ შეიძლება გარეთ იდგეს, მხოლოდ ერთი მანქანა დგას ფარეხში. 24 საათის განმავლობაში ყველა მანქანა მობილიზებული უნდა იყოს. ასეთ მდგომარეობაში სტანდარტის დაცვა შეუძლებელია. არაფერს ვამბობ მესხანძრე-მაშველებს საყოფაცხოვრებო პირობებზე. შენობის პროექტი მომზადდა, 400 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აფინანსებდა. შემდეგ გაცხადდა – სახანძრო-სამაშველო სამსახურები შსს-ს დაქვემდებარებაში გადადის, ამიტომ ამ პროექტის განხორციელება შეჩერდა.

**– რას შეცვლის შსს-ს დაქვემდებარებაში გადასვლა?**





- შსს-ს მეტი შესაძლებლობა აქვს, ჩემი კოლეგებიდან ვიცი, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მსგავსი ვითარებაა, ვფიქრობ, ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება. საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო კანონი. გამგებობაში მიიღეს წერილი, დაავალეს შეიქმნას ადგილობრივი სალიკვიდაციო ჯგუფი, მოხდება ინვენტარიზაცია, ველოდებით შსს-ს კომისიას, იმ აქტების საფუძველზე, რომელსაც სალიკვიდაციო კომისია შეადგენს, განხორციელდება გადაბარება.

- **სამსახურის ბიუჯეტი საკმარისია სათანადო მუშაობისთვის?**

- სახანძრო-სამაშველოში სამი წლის წინ მოვედი, როცა წლიური ბიუჯეტი 115 ათასი ლარი იყო, წელს 250 ათასი ლარია. დაგვემატა სამაშველო ფუნქციები, თანდათან ვიძენთ ინვენტარს, ფორმებს, სამაშველო მანქანა არ გვყავს,

რომლის შესაძენად ამ წლის ბიუჯეტში 46 ათასი ლარი გამოიყო. 4 სახანძრო მანქანა გვყავს. ოზურგეთის, ლანჩხუთის და სამტრედიის მუნიციპალიტეტებს არ ჰყავთ ამ რაოდენობის მანქანები.

- **თქვენ სამსახურში ადგილობრივი კადრები არიან დასაქმებული?**

- ყველა მეხანძრე-მაშველი ჩოხატაურელია.

- **არის თუ არა კვალიფიციური კადრების დეფიციტი?**

- ნინალმდეგობაში ვართ კანონთან, 2013 წლის 1 იანვრიდან მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მეხანძრე-მაშველების სერტიფიცირება უნდა დაწყებულიყო, 28 თანამშრომლიდან 24 მეხანძრე-მაშველია, 5-6 სახანძრო სკოლა ადრე აქვს დამთავრებული, არაქვთ სერტიფიკატი. შსს-ს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ, მომავალი წლის 1 იანვრიდან ტესტირებას გაივლიან სპეციალურ კომისიაში, პოლიციის აკადემიაში ეტაპობრივად 3-4 თანამშრომელი გაიგზავნება, სადაც თვენახევრიან მოსამზადებელ კურსებს გაივლიან, გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღებენ სერტიფიკატს.

- **როგორ ინიშნებოდა თანამშრომლები?**

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართავდნენ განცხადებით, თანამშრომლის დანიშვნის გადამწყვეტილებას ის იღებდა.

- **რა ტიპის გამოძახებებია გახშირებული?**

- ხშირია ტყე-ბუჩქნარის ხანძრები, თებერვლის თვეში დღეში 3-4 გამოძახება გვქონდა. ჩაის პლანტაციების აჭრა თანხებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ცეცხლს უკიდებენ და წვავენ.

ლელა სურმავა

## სანატორიუმი ვეგორაძე

თითქმის ათი წელიწადია თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას იღებს სანატორიუმის ადმინისტრაცია, სადაც შშმ ბავშვები და მათი მომვლელები ისვენებენ. აქ სხვა პირობებთან ერთად სამკურნალო მასაჟი და ფიზიკულტურა, ფიზიოთერაპიული კურსები უტარდებათ. სანატორიუმის ტერიტორიაზე განთავსებულია სამედიცინო განყოფილება. ჰყავთ თერაპევტი, პედიატრი, გამოცდილი მასაჟისტი. მიღება ექვს ნაკადად მიმდინარეობს - 15 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით. მთელი წლის განმავლობაში 1000 ბავშვმა და მომვლელებმა უნდა დაისვენონ. შშმ ბავშვები თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ მიიწახვალა და საჩუქრები გადასცა. სანატორიუმის დირექტორის, ცისანა მეგრელიშვილის მიმართ ყველა მადლიერებას გამოთქვამს. ექიმების და ადმინისტრაციის თანამშრომლების ყურადღება განსაკუთრებით ბავშვებისთვის არის სასიხარულო, გამაჯანსაღებელ პროცედურებთან ერთად, ისინი სიყვარულს გრძნობენ, რაც ავადმყოფობასთან შებრძოლების საუკეთესო საშუალებაა. ურეკის სამკურნალო ქვიშას საოცრებების მოხდენა შეუძლია, სანატორიუმი მეგობრობა შშმ ბავშვებს დასვენების და რეაბილიტაციის საშუალებას ყოველ წელს მისცემს. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მომავალშიც მიიღებს მონაწილეობას.





# უსინათლო ბავშვებს დაკარგულ უფლებებს ვუბრუნებთ



ნანა მცაშვილი

**მე მინდა თბილი ხმა, მულტიპლიკაციური ფილმის გახმოვანება, ტიპლოკომენტირება ემოციებით არ უნდა იყოს დატვირთული – აღნიშნა უსინათლო ანა შიხიაშვილმა.** სიჩუმის დროს ეკრანზე რა ხდება, მოზარდი ვერ ხედავს, ამიტომ მისთვის ფილმის ყურება უინტერესოა. როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადოებაში შშმ უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების ინტეგრაცია. ინოვაციური პროექტი შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. არასამთავრობო ორგანიზაცია **ქალი ბავშვი და სოციუმი** ამ ნოვატორული იდეის ინიციატორია, ნანა შარაშიძის ერთერთმა ქალიშვილმა სამეანო ტრავმა მიიღო. ორგანიზაციის თავმჯდომარისთვის შშმ ბავშვების უფლებების დაცვა მოღვაწეობის მნიშვნელოვანი სფეროა, ქალბატონი თავის ენერგიას არ იშურებს.

**– როგორ გაჩნდა უჩვეულო იდეა?**

– საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა „სიცოცხლის ხე“ მთელი წლის განმავლობაში გამოაცხადა ინოვაციური პროექტების დაფინანსება და ერთი მილიონი ლარი გამოჰყო. ჩვენ რამდენიმე პროექტი შევთავაზეთ, ყველაზე მეტად მოენონათ უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის ანიმაციური ფილმების თარგმნა აუდიოდისკრეფციული მეთოდით, ფილმის მიმდინარეობის დროს პაუზას, დიალოგს და მუსიკას ტიფლოკომენტატორი ახმოვან-

ებს. ჩვენ გავიმარჯვეთ და დავინყეთ პროექტის განხორციელება. პირველი სამუშაო ვერსია ვაჩვენეთ შშმ ბავშვებს და მათ მშობლებს, ჩვენებს ესწრებოდნენ „სიცოცხლის ხის“ მენეჯერი ანა თათულაშვილი და ბანკის ფიარის სამსახურის ხელმძღვანელი.

**– უსინათლო ბავშვებთან გქონდათ შეხვედრა?**

– ფილმზე მომუშავე ჯგუფი – ანიმაციის რეჟისორი მალხაზ კუხიანიძე, მენეჯერი მარინა მამულია და მე №202-ე სკოლა პანსიონში მივედი, საქართველოში ერთადერთი სკოლაა, სადაც უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები სწავლობენ, სხვადასხვა რეგიონიდან იღებენ ბენეფიციარებს. ბავშვებს ვკითხეთ რომელი მულტფილმი მოგწონთ? გვიპასუხეს – არ ვუყურებთ. ისინი მშობლის, ან მეურვის დახმარების გარეშე ტელეგადაცემის დეტალებს ვერ აღიქვამენ. ამიტომ სცენარი იწერება იმ მოქმედებების აღწერისთვის, რაც ეკრანზე მიმდინარეობს, ფილმის ყურების დროს სიჩუმეს ტიფლოკომენტარი ავსებს. ჩვენი მიზანია, საქართველოში საფუძველი ჩაეყაროს აუდიოდისკრეფციის მეთოდის განვითარებას და ფილმების თარგმნას. უნდა მოხდეს სათამაშო მოედნების, ბაღების, სკვერების, ბიბლიოთეკების და მუზეუმების ადაპტირება. უსინათლოების და მცირემხედველი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებით, ისინი სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნობენ თავს.

**– როგორ მიმდინარეობს მზადება?**

– მუშაობს რეჟისორი, სცენარის ავტორი, მსახიობები, მონტაჟის სპეციალისტი, კონსულტაციას გვინევს ფსიქოლოგი. რჩევებს გვაძლევს მოზარდი ფსიქოლოგი ლაშა ცაიშვილი, ფილმის ჩვენების დროს მან აღნიშნა – ჩემთვის ასეთი შედეგ მოულოდნელი იყო.

**– რომელი ფილმი უჩვენეთ ბავშვებს?**

– **ნუნა და ნრუნუნა, მომდევნო იქნება კომბლე, შემდეგ კუს დაბზარული ბაკანი, ბუდა ბუდა, სოფლის მაშენებელი, ცისფერი მელა, შეი-**

**ძლება ჩხიკვათ ქორნილი დავამატოთ.** პროექტის ფარგლებში 150 დივიდისკზე ჩავენერთ მულტფილმებს, დაეურიგებთ უსინათლოთა სკოლას, უსინათლოთა რაიონულ ფილიალებს, ბიბლიოთეკებს. რაც მთავარია, ბავშვებისთვის გახდა საინტერესო, აქ სიტყვათა მრავალფეროვნებაა, რაც ინტელექტს უმაღლებს. გვსურს, მსგავსი პროექტი მოზარდებისთვისაც განვახორციელოთ.

**– რამდენი უსინათლო და მცირემხედველი გყავს საქართველოში?**

– უსინათლოთა კავშირის სოციალური მონაცემის მიხედვით 13700 უსინათლო გყავს, დაახლოებით 300 ბავშვია, ვფიქრობ, ეს აბსურდული ციფრია.

**– ჯანდაცვის სამინისტროს არ აქვს ზუსტი მონაცემები?**

– ჯანდაცვის სამინისტროს აღრიცხვაზე მხოლოდ ის ბენეფიციარები აჰყავს, რომლებიც სოციალური პაკეტის მიმღებები არიან. ამიტომ რეალური სურათი არ გვაქვს. სხვადასხვა ორგანიზაციებმა, მათ შორის ჩვენც სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვსვამთ საკითხს, რომ მოხდეს ამ ადამიანების ნოზოლოგიების მიხედვით დათვლა. პირველ რიგში ჯანდაცვის სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული, შემდეგ უფრო რაციონალურად დაგეგმოს სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამები. სახელმწიფოს მხრიდან ამ ადამიანების მიმართ არაკეთილსინდისიერი მიდგომაა, რადგან ვისაც ეს პროგრამა არ შეეხო, თვლიან, რომ ისინი თავიანთ მოქალაქეებზე არ ზრუნავენ. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია თითოეული ადამიანის მოვალეობაა, მზრუნველობა არ უნდა მოვაკლოთ და მათი უფლებების დაცვაზე ვიფიქროთ.

ნატალია შარაშენიძე



# ღირსაბის აღსაღბანაღ მკურნაღი საბარტღაროღ ღაღას აბრქაღას

უბრალო თელაველი კაცი, დომენტი გაგნიღე კახელე-ბისათვის დამახასიათებელი სიღიუთით გამოირჩევა. ტელეკომპანია „იმეღმი“ მომზადებუღი ტელეგადაცემით დაიწყო მისი დისკრედიტაცია. მას შემდეგ ასაკოვანი ბატონი უფლებების აღდგენისთვის იბრძვის.

მკურნაღმა შემთხვევით მიაგნო ბალახელულ წამალს, რომელსაც მრავალი დაავადებისგან განკურნების უნარი აღმოაჩნდა. პაციენტების მტკიცებით, მის მიერ დამზადებული პრეპარატები დაუფერებელ ეფექტს ახდენდა. მრავალი ადამიანი მძიმე ავადმყოფობისგან, როგორიც არის ონკოლოგიური თუ ლეიღლის დაავადებები, გაფანტული სკლეროზი განიკურნა. დომენტი გაგნიღე ასეთ შედეგში უცნაურობას ვერ ხედავს, რადგან სიცოცხლის ხანგრძლივობა, სწორედ, ბუნების ნიაღიდან მოღის. თავისი პრეპარატების საიდუმლო ის ბალახელი მცენარეებია, რომელთა ფარმაცეპტული შესაღლებლობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლიღი. ტელენამყვანმა ნოდარ მეღაღემ პრეპარატები – დომენტოღი და გაგენოღი ხალხისთვის საზიანოდ გამოცხადა. სახალხო მკურნაღს ასეთი ბრალდება წაუყენეს-სათანადო სამედიცინო განათლების არმქონე კაცმა როგორ შეიღლება ისეთი პრეპარატები შექმნას, რომლებიც უიღედო ავადმყოფებს შევბას მისცემს?! (ზაზა ფანასკერტელს, თურმანიღეს თუ სხვა ცნობიღ სახალხო მკურნაღებს კლასიკური სამედიცინო განათლება არ ჰქონდათ მიღებული). მის არქივში 3000 მაღლიერი პაციენტის წერიღი ინახება. მკურნაღის ავტორიტეტის შეღახვა კვლავ გააგრძელეს, თავისი საქმის პროფესიონალი, ექიმი-ენდოკრინოლოგი დავით მეტრევეღი მიუჩინეს, ის ნდობაში მაღე შევიდა, დომენტოღისა და გაგენოღის ლიცენზიის მოპოვებაში დახმარება აღუთქვა. მკურნაღის განცხადებით, სწორედ, მან გააყალბა მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნა (რასაც ინსტიტუტის მესვეურებიც ადასტურებენ). აღნიშნულ საქმეზე გამოიღების დაწყების შემდეგ გაირკვა, რომ პრეპარატების სახელმწიფო ეროვნული რეჟიმიტ რეგისტრაციისთვის მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მხოლოდ თსუ წამლისა და ფარმაცეპტული სამკურნალო საშუალებების ცენტრის დასკვნა იყო საჭირო. რაც ზუსტად იქნა შესრულებული პროცედურულ საკითხებთან ერთად.

დომენტოღი და გაგენოღი არის პარასამკურნალო სამედიცინო პრეპარატები, ბალახელი წამლები, იმუნოსტიმულატორები და არა საინექციო სამკურნალო საშუალებები. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ მას რეგისტრაცია გაუუქმა. მკურნაღი დასკვნის გაყალბება-

ში დავით მეტრევეღს ადანაშაულებს. უცნობია, თუ ვისი მეშვეობით მოიპოვა ინსტიტუტის რეალურთან მიმსგავსებული ბეჭედი, მისი დირექტორის ა. კორძიას სახელით ვინ მოაწერა ხელი, თუ ხელმოწერა თვითონ შეასრულა. სამედიცინო ტერმინოლოგიის დასკვნა თავად დაწერა, თუ სხვამ. ასეთი მძიმე ბრალდების მიუხედავად, დავით მეტრევეღის საქმიანობით საგამოიღებო ორგანოები არ დაინტერესდნენ.

„არ გვაინტერესებს მაყუთს საიდან მოიღან, მაგრამ აუცილებლად უნდა ჩავვაბარო“ – დომენტი გაგნიღემ ფინანსისტებს მიღიღონ 200 000 ლარი „ჩააბარა“.

მკურნაღმა დახმარებისთვის იურისტ გიორგი ბერიაშვიღს მიმართა. 2014 წლის 29 აპრიღს თბიღისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციული სარჩელი შეიღანეს. ამავე სააგენტოს 2011 წლის 26 დეკემბრის №02-1428/ო ბრძანების ბათიღად ცნობის შესახებ. გიორგი ბერიაშვიღის მტკიცებით აღნიშნული ბრძანება არის კანონშეუსაბამო და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას შემდეგი საფუძვლებით ბათიღად იქნა ცნობიღი ამავე სააგენტოს უფროსის 2010 წლის 18 იანვრის №22/ო და სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 13 სექტემბრის №682/ო ბრძანებები და ბათიღად იქნა ცნობიღი ამავე ბრძანებების საფუძვლზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობები №003321; №003322 თვით მოწმეები № რ-001585 და №რ-001586. ეს ბრძანებები და რეგისტრაციის მოწმობები ბათიღად იქნა ცნობიღი მისი ბათიღად ცნობის დღიდან.

რეგულირების სააგენტოს 2011 წლის 26 დეკემბრის № 2-1428/ო ბრძანების გამოცემისას სააგენტოს უფროსმა იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 მუხლის 1-ელი მე-2, მე-4 პუნქტებით და საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცეპტული საქმიანობის შესახებ“ 11(11) მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-20 პუნქტის „აუ“-ქვე პუნქტით რისი გამოყენების უფლებაც მას არ ჰქონდა. იურისტის განმარტებით 2011 წლის 26 დეკემბრის № 02-1428/ო ბრძანების გამოცემისას სააგენტოს მხრიდან, სწორედ, ეს ნორმებია დარღვეული. მოსარჩელე დ. გაგნიღეს უმიზეზოდ გაუუქმა რეგისტრაცია და ამ საფუძვლიტ სარეგისტრაციო მოწმობები. „წამლისა და ფარმაცეპტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-12 პუნქტში წერია-„სააგენტო აუქმებს საქართველოში ფარმაცეპტული პროდუქციის რეგისტრაციას:

სსწარი ინტრამუსკულარული ინექციისათვის

## დომენტოღი

იღწნომასტიღულირეპეღი და ანთეღის საწინააღმდეგო საშუაღება

სსწარი ინტრამუსკულარული ინექციისათვის

## გაგენოღი

იღწნომასტიღულირეპეღი და ანთეღის საწინააღმდეგო საშუაღება



ა) დაინტერესებული პირის თხოვნით.

ბ) ამ ქვეპუნქტში კი წერია რა არის გაუქმების საფუძველი – „თუ ფარმაცეპტულ პროდუქტს აღმოაჩნდა ადამიანისათვის ან მისი შთამომავლობისათვის ზიანის მომტანი თვისება“ – სააგენტოს ეს არგუმენტი არ აქვს.

შესაძლოა ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური კვლევის ანგარიში ვინმემ გააყალბა, მიუხედავად ამისა დომენტოლზე და გაგნოლზე არაერთი სამედიცინო დაწესებულებისა და ცენტის კვლევა და მათ საფუძველზე გაცემული დასკვნა არსებობს. ის ფაქტი, რომ წამლის სააგენტოს ეჭვი შეეპარა ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნის სიყალბეზე, საკითხი შესასწავლად მთავარ პროკურატურას გადაუზავნა. გამოძიების დასრულებამდე სააგენტოს არ უნდა მიეღო უკანონო გადაწყვეტილება. მოსარჩელისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილებში წამლის უკუჩვენებაზე ერთ პაციენტსაც ვერ ასახელებენ.

გიორგი ბერიშვილი სხვა აბსურდულ სიტუაციაზეც საუბრობს, მკურნალი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ უკანონო სამენარმეო საქმიანობისათვის დაბეგრეს და საგადასახადო ორგანოში დღგ-ს სახით 2 მილიონამდე ლარი დააკისრეს. დომენტი გაგნიძე ასხამს ამპულებს, რომლებიც დაბეჭდილია, წამლის ჩამონათვალთა 21-ეჯგუფში შედის, რომელიც დღგ-ს გადასახადისგან თავისუფალია. სასამართლო პროცესზე იურისტი შეეცდება მოსამართლე რეგისტრაციის აღდგენაში დაარწმუნოს. შემდეგ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოში წარადგენს, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას. თუ რეგისტრაცია აღდგა, მკურნალს 2 მილიონი ლარის ჯარიმა ავტომატურად ჩა-

მოეჭრება და კუთვნილ მილიონ 200 000 ლარზე გააგრძელებს დავას, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმეს დაურთო, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაელოდა და ქვეყნის ბიუჯეტში გადარიცხა. დომენტი გაგნიძის საქმის ძიება სამი წელი მიმდინარეობს, მას არც ბრალი აქვს წარდგენილი, დამნაშავედ თავს არ ცნობს, საქმეში მონმის სტატუსი აქვს მინიჭებული და ფინანსურმა პოლიციამ მილიონ 200 000 ლარი მისსაკუთრა. მკურნალს მხოლოდ მოსამართლის ობიექტური გადაწყვეტილების იმედი აქვს.

2014 წლის 19 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ.სანიკიძის ომის ვეტერანთა ჰოსპიტალის ექიმთა ერთმა ჯგუფმა, სადაც ვკითხულობთ – მამა-შვილმა ერთობლივი საქმიანობით ქალაქ თბილისში, ისინი მეტროსთან შეიძინეს ბინა და იქვე ცალკე საოფისე ფართი. სწორედ, ამ ბინიდან წასვლას აიძულებს დომენტი გაგნიძე საკუთარ შვილს და მის ოჯახს. ასე მხოლოდ ფსიქიკურად ჯანმრთელობა შერყეული ადამიანები იქცევიან. გთხოვთ, არ დაუშვათ ზეზვას ოჯახის გამოსახლება. მკურნალმა ექიმის პროფესიისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ჯანდაცვის მინისტრს წერილობით მიმართა და ექიმების მიმართ რეაგირებას ითხოვს.

მკურნალი ბავშვებში გავრცელებულ უცნაურ და ახალ დაავადებებზე საუბრობს, თვლის, რომ თავისი პრეპარატებით მათ განკურნავს. ნოდარ მელაძეს მოუწოდებს, შეცდომა სახალხოდ აღიაროს. ჟურნალისტ ნაზი შამანაურს იხსენებს, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, ამიტომ ქვეყნის ისტორიაში უკვდავ გმირად დარჩა.

ნატალია შარაშენიძე

## როგორ ვაკონტროლოთ წონა ჰორმონების მიღებისას

**ჰორმონალური პრეპარატების მიღება, განსაკუთრებით ორალური კონტრაცეპტივების, ძირითადად ასოცირდება ზედმეტი კილოგრამების მომატებაში. ნაწილობრივ ეს ასეა, მაგრამ თუ გარკვეული ანალიზების შემდეგ პრეპარატს შეარჩევს ექიმი, გვერდითი ეფექტები ძალიან იშვიათად ვლინდება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგინიშნეს ჰორმონალური საშუალებებით მკურნალობა, მასზე უარის თქმას არ აქვს აზრი. ხოლო წონის ნორმის ფარგლებში შენარჩუნება საკმაოდ მარტივია.**



სით. არ მისცეთ კუნთებს დასუსტების საშუალება, ფიზიკური სავარჯიშოების საშუალებით მოახდინეთ მათი სტიმულირება. რაც მეტია კუნთის მასა, მით უფრო სწრაფად ამუშავებს იგი ცხიმებს, რომლის მარაგში შენახვა ასე ძალიან უყვარს ჩვენს ორგანიზმს. გამოყავით 1-2 დღე კვირაში, როცა დღის განმავლობაში მიირთმევთ მხოლოდ ხილს, ბოსტნეულს ან რძის პროდუქტებს, მისაღებია ფაფებიც.

ჰორმონალური პრეპარატის ტაბლეტი მიიღეთ ჭამამდე 30 წუთით ადრე. მისი მიღების შემდეგ, როგორ წესი, იმატებს მადა. თუ მას დაღვეთ ჭამის შემდეგ, არ არის იმის გარანტია, რომ სულ მალე კვლავ გაგიჩნდებათ ჭამის ძლიერი სურვილი. შეეცადეთ ორგანიზება გაუკეთოთ ნახშირწყლების მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტების მიღებას. ჰორმონალური საშუალებები ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ ნახშირწყლების სრულ შეთვისებას, რის ხარჯზეც ხდება სხეულის მასის ზრდა.

თუ თქვენ დაგინიშნეს მაღალდოზირებული ჰორმონალური პრეპარატები, განსაკუთრებით პრედნიზოლონი, გადადეთ წონასთან ბრძოლა მომავლისათვის. ზოგიერთი მედიკამენტის მიღების დროს არ არის რეკომენდირებული საკუთარი თავის შეზღუდვა კვებაში. წონის კორექტირებაზე ზრუნვა შეიძლება მხოლოდ ფარისებრი ჯირკვლების ჰორმონებისა და ორალური კონტრაცეპტივების მიღების დროს. ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ გადახვიდოდეთ რაიმე სახის ქმედებაზე, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია თქვენს მკურნალ ექიმთან.

ნინო ბერიძე



# მოძალადე ჯაგის თვითმიზანი ქალის დამცირებაა

ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა, გენდერული თანასწორობა დღევანდლობის აქტუალური თემაა. ჩვენც შევეცდებით და გამოვეხმაურებით ამ პრობლემურ საკითხს, ვისაუბრებთ, რა ინვესტაცია და რას მიჰყავს ადამიანები თანაცხოვრების გამწვავებულ მდგომარეობამდე. რა შეიძლება შევცვალოთ, როგორ მოვიქცეთ, ასევე დავებმართოთ საკუთარ თავს და გარშემომყოფთ. ჩვენი დებატების სტუმრები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრნი-მდინარაძე-ნინო 23 წლის-სტუდენტი. თოდრია ნანა 44 წლის - დიასახლისი. ცენტერაძე ლიზი 17 წლის - აბიტურიენტი, ბენდელიანი მზია 61 წლის-პენსიონერი.

ჟურნალ გურია REGION-ის (წამყვანი) - ოჯახი რთული ფენომენია, წინააღმდეგობებით სავსეა ცოლ-ქმრის ცხოვრება, თავიდან თითქოს ყველაფერი კარგადაა, დროთა განმავლობაში კი ვითარება იცვლება, ჩნდება პრობლემები, ამ ფონზე ასახვას ჰპოვებს შეხლა-შემოსლა, დავა, ფიზიკური დაპირისპირებაც კი. რატომ არ შეიძლება წარმოქმნილი პრობლემები ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთგაგების ფონზე აღმოიფხვრას. რატომ მიდის საქმე იქამდე, რომ ერთმანეთს ხელითაც კი ეხებიან და საბოლოო ჯამში ოჯახი ინგრევა?

ბ.მ. - წინა სიტყვაობაში უკვე აღნიშნეთ, რომ ოჯახი რთული ფენომენია, ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებას წინასწარ განსაზღვრავს, რა შეიძლება გააკეთო იმისთვის, რომ კონფლიქტი არ მოხდეს, მაშინაც კი როცა ვხვდებით, ოჯახი თავზე გვენგრევა, არა მგონია დაყვავებით ან დათმობის ხარჯზე და ამით სიტუაცია გამოსწორდეს. ოჯახის დასანგრევად (მხედველობაში მაქვს ის, ვისაც არ სურს მისი შენარჩუნება) მიზეზი არ სჭირდებათ, ისინი უბრალოდ ტოვებენ ოჯახს. ორი უკიდურესობა არსებობს, შეიცვალოს სიტუაცია უკეთესობისკენ ან წავიდეს უარესობისკენ.

თ.ნ. - ახლა ჩვენ ვიჯდეთ და ვამტკიცებთ მანც არაფერი გამოვა და გულზე ხელები დავიკრიფოთ, ვფიქრობ არ იქნება მართალი. რა თქმა უნდა, რაღაც უნდა ვილონოთ, თუმცა გამოსავალი მოსაძებნია, რადგან გამწვავებული ოჯახური მდგომარეობის გამოსწორება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. პრობლემა შესაძლოა უბრალოდ მატერიალურ მხარეში იყოს.

მ.ნ. - უკაცრავად, შეგანწყვეტინებთ. ჩვენ აქ საუბარი გვაქვს ძალადობაზე და პრობლემა მარტივად წარმოვაჩინოთ (თუნდაც მატერიალური მხარე) და თავზე ხელი გადავუსვათ მოძალადე ქმრებს, - შენ შემოგველე, რა ვუყოთ დღეს არ გვაქვს, ხვალ გვექნება და მანამ შეგიძლია მომექცე, როგორც მოგესურვებო, ასე არ არის. დღევანდელი ცხოვრებისეული პირობებიდან გამომდინარე კი ოჯახების უმეტესობა, სწორედ, მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას უჩივის. მხოლოდ ამ მხრივ თუ მივუდგებით საკითხს, საქართველოში არცერთი მყარი ოჯახი არ უნდა არსებობდეს.

თ.ნ. - სწორად ვერ გამოგეთ არ ვამტკიცებ, რომ მხოლოდ ეს მხარეა ერთადერთი, მე აღვნიშნე, რომ მატერიალური მდგომარეობა არის დანგრეული ოჯახების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

ლ.ჟ.გ. - რა თქმა უნდა, დაგეთანხმებით, ეს არის ერთ-



ერთი მიზეზი და საკმაოდ გავრცელებულიც. მოდით, განვავრცოთ თემა და ვისაუბროთ სხვა მიზეზებზე, რამაც შეიძლება ადამიანი მოძალადედ აქციოს.

მ.ნ. - თუნდაც ის რომ მამაკაცს სურს თავად წარმოადგენდეს ოჯახის მთავარ მამოძრავებელ ძალას. მცდელობების მიუხედავად ეს არ გამოსდის, რადგან არ აქვს სამსახური არა აქვს არანაირი შემოსავალი და მოსწონს თუ არა, მის ოჯახს მანც ქალი განაგებს, (არჩენს) როცა ქალი განაგებს ოჯახს, ბუნებრივია, მამაკაცს უწევს ბევრ დათმობაზე წასვლა, მასში ღვივდება უსუსურობის განცდა და ამიტომ შემდგომში აგრესიის სახით ვაწყდებით. თ.ნ.-სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, რომ არ შეიძლება არსებობდეს ერთი ფაქტი, მსგავსი ფაქტორები მრავალმხრივი და მრავალნაირია. შეიძლება საქმე გვექონდეს არა რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო მიყვანილ სავალალო მდგომარეობამდე, არამედ უბრალოდ მოძალადე ადამიანთან, რომლის თვითმიზანი ქალის (მასზე სუსტი არსების) დაკნინება და დამცირებაა.

ც.ლ. - ამ შემთხვევაში ადამიანი მანიაკი უნდა იყოს, სხვა მხრივ გამართლება არ აქვს მის საქციელს. ვიცი ოჯახი, სადაც მსგავსი რამ ხდება. ის ადამიანი უბრალოდ ავადმყოფია, რომელსაც სამკურნალო დაწესებულებაში გასამწესებლად ვერ იმეტებენ. აქ საქმე გვაქვს დაავადებასთან, რომელიც კი არ უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაული და საჯაროდ არ უნდა იქნას აფიშირებული, არამედ ასეთ ადამიანს ყოველგვარი კითხვების გარეშე უნდა მკურნალობდნენ შესაბამის დაწესებულებებში, თუმცა არ გამოვრიცხავ შეგნებულად ხდებოდეს მანიაკური მცდელობები. ჩემი ასაკიდან გამომდინარე დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ ბევრი წამიკითხავს და მსმენია. არსებობს ლოთების კატეგორია, რომელთაც ოჯახის შენარჩუნება უჭირთ. არსებობენ ნარკოდამოკიდებულები. თითოეულს განსხვავებული გამოვლინება ახასიათებთ.

ბ.მ. - რატომღაც აქამდე არცერთი სიტყვა არ თქმულა ლალატზე, არადა ლალატი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფორმაა, რამაც ოჯახი შეიძლება დანგრევამდე მიიყვანოს. როცა თავს იჩენს ლალატი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი მხრიდან იქნება, რა თქმა უნდა, მდგომარეობამ შეი-



ძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს.

ც.ლ. - ამ მხრივ ქალის უფლებას დავიცავ და ვიტყვი, რომ ღალატისკენ ქალს უმეტეს შემთხვევაში კაცი უბიძგებს. თუ ადამიანში ეს მანკიერი მხარე სულიერად არ ზის, იგი მსგავს ნაბიჯს არასოდეს გადადგამს, მაგრამ როგორ მოიქცეს ქალი, თუ კი მას შეურაცხყოფენ, ამცირებენ, ნიხლით დგებიან? ამ დროს ქმრისგან განადგურებული ადამიანი ცდილობს გამოსავალი ან თუნდაც თავშესაფარი სხვა ადამიანთან ჰპოვოს, რომელიც მიიღებს ისეთს, როგორც სინამდვილეში არის და არ შეურაცხყოფს მას, მაგრამ შვილო რას უშვრები ამ დროს საკუთარ ღირსებას? შეგიძლია ნახვიდე, განერიდო, თუნდაც გამოვრდე. რატომ დგამ ისეთ ნაბიჯს, რომელიც კიდევ მეტად შეურაცხყოფს?

ც.ლ. - ადამიანს ამ დროს ბევრი წინააღმდეგობა ხვდება, თუნდაც შვილები.

თ.ნ. - შვილებისთვის უარესი არაა ყოველდღიურად აყალმაცალის მოსმენა? ეს ხომ მათ ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს, რომელიც შემდეგ ნერვიული აშლილობის სახით მოგვევლინება.

არა მგონია ყოველთვის ისე ცუდად იყოს საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით გარედან ჩანს. შეიძლება ადამიანებს შორის მართლაც გაჩნდა ნამდვილი გრძნობა. სხვისი აზრის გამო ადამიანმა უარი არ უნდა თქვას საკუთარ ბედნიერებაზე. ბედნიერების უფლება ყველას აქვს.

ლ.ჟ.გ. - მოდით დავაკონკრეტოთ და გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე თუ რა არის ლამაზი და არასასურველი აღნიშნულ სიტუაციაში... მოძალადე ქმართან რომ დარჩე, თუნდაც შვილების ხათრით და ნუგეშის-

მცემლად გყავდეს სხვა ადამიანი, თუ გადადგი ის ნაბიჯი, რასაც აქამდე ვერ აკეთებდი, ვილაცის გამო და საბოლოოდ ოჯახის დანგრევის გადაწყვეტილება მიიღო?

ც.ლ. - საქართველოში არსებობს იმის პირობები, რომ ამ მხრივ საკითხი ოჯახის სასიკეთოდ გადაწყდეს? ამ შემთხვევაში რა ვქნათ, მოვუწოდოთ ქალებს, იმისთვის რომ მათზე ქმრებმა არ იძალადონ, გავიდნენ ქვეყნის გარეთ და იქ მოიპოვონ საარსებო, მხოლოდ იმის გამო, რომ მათზე განხორციელებულმა ძალადობამ იკლოს? იქნებ მერე და მერე ამ განებივრებულ ვაჟბატონს მეტი მოუწოდეს და ცოლს იქედან აიძულოს ოჯახის რჩენა. ვფიქრობ, ეს გამოსავალი არ არის.

ლ.ჟ.გ. - ჩვენც გამოსავლის მიზნით შევიკრიბეთ. მაინც სად გადის ზღვარი ბედნიერ და უბედურ ოჯახებს შორის? რა არის ის მთავარი, რითაც შესაძლებელი იქნება ოჯახური უსიამოვნებების თავიდან აცილება?

თ.ნ. - კითხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი სიყვარულია. მოყვარული ცოლ-ქმარი ყველა სირთულეს და წინააღმდეგობას გადალახავს. იქ სადაც სიყვარულია, მნიშვნელობა არა აქვს მატერიალურ კეთილდღეობას და სხვა სახის ცხოვრებისეულ სირთულეებს.

ბ.მ. - მაგრამ ხომ შეიძლება ერთ დღესაც სიყვარული გაქრეს?

თ.ნ. - მე საუბარი მაქვს ნამდვილ სიყვარულზე, ისეთზე, რომელიც არასოდეს გაქრება.

ლ.ჟ.გ. - ჩვენი დისკუსია ამ ლამაზ ნოტაზე დავასრულოთ - ნამდვილი სიყვარული არასოდეს ქრება და ყველას ოჯახური ბედნიერება ვუსურვოთ.

ირინა რამიშვილი



სწორი პასუხებია:

- ილიენიცყო .ც .1
- იქცემიბო ,იტიტენმეტულიც .2
- ელტნიფტბნც ელქმბოფ
- ტოტბნონ ცფ
- ინტბჯო იბიოლქბოჯე .3
- .იოქბქ ონხბქ .4
- .იონოც .2

## უპაოწაბეთ თქვენი არულიცია

1. რომელმა გამოჩენილმა მოღვაწემ შეიტანა განსაკუთრებული წვლილი გურიის არქეოლოგიურ შესწავლაში?
2. რომელმა უცხოელმა მეცნიერებმა და მოგზაურებმა მოგვაწოდეს მნიშვნელოვანი ცნობები გურიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ?
3. რა ტერმინით დადასტურდა მრავალრიცხოვან ოჯახების აღსანიშნავად, გურიის ეთნოგრაფიულ ფოფაში?
4. რა ტერმინი არსებობდა გურიაში ძმების გაუყრელად ცხოვრების შემთხვევაში?
5. რა ტერმინი იყო მიღებული გურიაში ერთ ჭერქვეშ მცხოვრების სახლობის აღსანიშნავად?



# განკარგულება

## კურორტ ბახმაროს საკურორტო სეზონის მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საკრებულო ადგენს

### ჩონატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ:

შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიმუშაოს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების, გადაუდებლად აუცილებელ საკითხთა მოგვარების გეგმა და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად საკითხი დააყენოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს საკითხი ა.ი.პ კურორტ ბახმაროს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ან მოხდეს საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გათვალისწინებით, ა.ი.პ კურორტ ბახმაროს ხელახალი დაფუძნება.

ეკონომიკის სამინისტროს წინაშე დასვას ელ.მომარაგების ქსელის ენერგო პრო ჯოჯოხიაზე გადაცემის საკითხი; საკრებულოზე განსახილველად წარმოადგინოს ინფორმაცია კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობების ნებართვის გაცემისა და უნებართვო მშენებლობების შესახებ.

კურორტ ბახმაროში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარების კომისიაში შეყვანილ იქნას ა.ი.პ კურორტ „ბახმაროს“ დირექტორი.

ა.ი.პ კურორტ ბახმაროს სუბსიდირების დროს გაითვალისწინოს კურორტის თანამშრომელთა და ხელშეკრულებით აყვანილი პირების ხელფასების ზრდა.

### კურორტ ბახმაროს დირექციამ:

უზრუნველყოს დამსვენებელთა ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურება, დაადგინოს მომსახურების ტარიფები არსებული კანონმდებლობით.

უზრუნველყოს კურორტიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის თანხის ამოღება.

დამსვენებელთა ტურისტული მომსახურების მიზნით შეიმუშაოს ტურისტული მარშრუტები.

მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატაროს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა:

საკურორტო სეზონის განმავლობაში კონტროლზე აიყვანოს კურორტ ბახმაროს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

### ეთხოვოს სურსათის ეროვნული სააგენტოს, გურიის რეგიონალურ სამმართველოს:

სეზონის დასაწყისში წარმოადგინოს ინფორმაცია კურორტ ბახმაროს მიმდებარე ალპურ საძოვრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ მსხვილ ფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებებისაგან დაცვის თაობაზე.

მკაცრ კონტროლზე აიყვანოს საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა ობიექტებში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

### ეთხოვოს ბაზრის დირექციას:

წესრიგში მოიყვანოს ბაზრის ტერიტორია და შენობა ნაგებობანი, რათა დამსვენებელს გაეწიოს ნორმალური მომსახურება.

### ჩონატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ:

გამართოს კონსულტაციები აჭარის მთავრობასთან, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებთან (საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-დან მუხლი 21, პუნქტი 2 გამომდინარე), კურორტ ბახმაროში ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-დან (მუხლი 29) გამომდინარე შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან კურორტ ბახმაროს წინაშე არსებულ იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რაც აღემატება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებებს.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას და შედეგები ყოველთვიურად წარედგინოს საკრებულოს.



# ნადიმი ხუთასწლოვან მუხასთან

ჩოხატაურის ლელობურთელთა გუნდის საარქივო მასალების დათვალიერებისას ჩემი ყურადღება ერთმა სურათმა მიიპყრო, სადაც ლელობურთელები უჩვეულო, ეროვნულ, საუკუნეების წინანდელ სამოსში არიან გამოწყობილი. მკითხველს ამ სურათის ისტორიას მოგიხსნობთ.

1966 წელს საქართველომ გენიალური შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი იზეიმა, რასაც წინ უძღოდა აკადემიკოსების – აკაკი შანიძისა და ირაკლი აბაშიძის წარმატებული კვლევა და რუსთაველის ფრესკის აღმოჩენა. ღონისძიებები მთელ საქართველოში გაიმართა, აპოთეოზი, კი, თბილისში 2 ოქტომბერს საზეიმო-თეატრალიზებული წარმოდგენა გახლდათ, სადაც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ჩოხატაურის ლელობურთელთა გუნდი და ცხენოსნებიც მონაწილეობდნენ.

„ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო პოეტური შედევრია, არამედ ქართული სპორტის ისტორიის მატრიანეც. ლელო, ცხენბურთი, ჯირითი და მშვილდოსნობა – ქართული ეროვნული თამაშობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაა.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე (ამჟამად მიხეილ მესხის სახელობის) საზეიმოდ შემოვიდნენ მუზარადეებში და აბჯრებში გამოწყობილი „ვეფხისტყაოსნის“ გმირები. ადვილად შეიცნობდით სწორუპოვარ მხედრებს ავთანდილ (თანო) მეგრელიშვილსა და ანზორ ჯიქიას, ქულაჯაში გამოწყობილი ვაჟკაცი, სოსო მინდაძეა, ის თამაშის გამრიგებელი გახლდათ. ეროვნული სამოსით გამოწყობილი, კი, ჩოხატაურის სიამაყე-ლელობურთელთა გუნდია. მრავალი ათასი მაყურებლის წინაშე ჩოხატაურელმა ვაჟკაცებმა საჩვენებელი თამაში გამართეს და ყველა მოხიბლეს. ზეიმის ორიგინალური გაგრძელება იმ დროს საგურამოს სასათბურე მეურნეობის დირექტორმა



საგურამო


ომარ (ლუტუნია) დოლიძემ მოაწყო. თბილისის შემოგარენში, ისტორიულ 500 წლოვან მუხასთან, სადაც ერეკლე მეფემ გამარჯვებულ ჯარს ნადიმი გადაუხადა, ომარ დოლიძემ ჩოხატაურელებს, სპორტსმენებს, მაყურებლებს და გულშემატკივრებს სამეფო სუფრა დაახვედრა. ლამაზი სადღეგრძელოები წარმოთქვეს, იყო მოფერება, სიყვარული და სიამაყე. სიამაყე არა ამპარტავნული, არამედ კუთვნილი იმ ვაჟკაცობისათვის, რომლითაც წლების განმავლობაში ჩოხატაურელი ლელობურთელები ახარებდნენ გურულებს.

ყურნალის მკითხველისთვის საინტერესოა ასეთი ფაქტი – 1947 წლიდან 1991 წლამდე გამართულ საქართველოს ჩემპიონატებში ჩოხატაურელთა გუნდი 38-ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი.

**გურიის ლელოს რეგიონალური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი ცინცაძე**







# მკვლელობის შემთხვევა

ურუნტელმომგვრელი იყო ადიდებული მდინარე. წყალი კალაპოტში ვერ ეტეოდა და გამეტებით ეხეთქებოდა ნაპირს. გადარეული, დუჟმომდგარი მდინარე თითქოს წასალეკად ემუქრებოდა სოფელს. მდინარეზე ხიდია გამბული, რომელიც ორ სოფელს აკავშირებს ერთმანეთთან და მიმოსვლას უადვილებს.

მოგვიანებით ხიდზე ორი ადამიანი გამოჩნდა. ერთ-ერთ მათგანს ნაძალადევი სიარული აქვს, თითქოს თოკი გამოუშვამთ და ძალად მოათრევენო. დუნედ, მოუქნელად ადგამს ნაბიჯებს, მეორე მათგანი, რომელიც დროდადრო ორჭოფულად მოხედავს ხოლმე თანამგზავრს, ბრძანებისმაგვარი კილოთი მიმართავს, – სწრაფად ... ცოცხლად!.. და ისიც რობოტისეული სვლით მიჰყვება წინარეს.

გზა უსასრულოდ გაიწელა. ბარე ორი საათია მოდიან. „ნეტა რას უპირებს, რა განზრახვა ამოქმედებს ტყემალაძეს, რას ემართლება ... განა სიმართლე არ უნდა ითქვას, სახალხოდ არ წარმოჩნდეს?... არა ... არაფრის ეშინია მუმლაძეს, დაე მოხდეს მოსახდენი ... ერთხელ მოსულა ამქვეყნად, ერთხელვე უწერია სიკვდილიც.“

ჩამიჯექიო მანქანაში! – კი არ სთხოვა, უბრძანა ტყემალაძემ და ისიც დაუფიქრებლად, ყოველგვარი განსჯისა და ყოყმანის გარეშე ჩაუჯდა, ან კი იმას აფიქრებინებდა, დაფრთხა, შეშინდა ვარლამი?... არა ... არა!... ამოიკითხა კიდევ ჯუმბერის თვალეში გესლიანი ირონიის გამომხატველი მზერა, – „ხო, ჩაჯექი, ჩაჯექი, თუ ვაჟკაცი ხარო“, – ეუბნებოდნენ მისი თვალეში. ჰოდა განევ-გამოწვევას ჩაყოლა ამჯობინა ვარლამმა. ჯუმბერის მიერ გამოვლულ წინა კარებში დაფიქრებული სახით შევიდა და წინა სავარძელში მოკალათდა, – „ბოლოს და ბოლოს ადამიანია, მხეცი ხომ არაა, თუმცა ყველაზე დიდი მხეცი ხომ ამქვეყნად ადამიანია ... მხეცებსაც აქვთ სიბრალულის გრძნობა, საკუთარი თვალეებით რომ არ ენახა, მონასმენს არ დაიჯერებდა ... ვარლამი სოფლად იზრდებოდა სასკოლო ასაკამდე. იგი პაპას ხშირად დაჰყვებოდა სანადიროდ. ერთხელაც ღრმად შეტოპეს ტყეში. შორიდანვე შენიშნეს დიდი ნაძვის ძირას მძინარე ბავშვი, უცაბედად საიდანაც დათვი გამოვარდა და ძუნძულით გაემართა იქითკენ, სადაც ბავშვს გემრიელად ჩასძინებოდა. ვარლამს ში-

შისგან ძარღვებში სისხლი გაეყინა, არც პაპას ადგა კარგი დღე. ისინი ნაბლის ხეს ამოეფარნენ და საშინელების მოლოდინში გაითანგნენ. დათვი მიუახლოვდა მძინარეს, დაყნოსა, დრუნჩი თავზე გაუსვ – გამოუსვს, ერთხანს იდგა ასე და ძუნძულითვე გაბრუნდა უკან. – რა იყო ეს?... ბედისწერა თუ სასწაული შემთხვევა?... ვარლამის აზრით ეს სიბრალული იყო, რომელიც გამოუმუშავდა მტაცებელს წუთით და ბავშვის სიცოცხლეც ამ სიბრალულმა დაიფარა. – ყველა მხეცზე საშიში მხეცი ადამიანია შვილო, – უთხრა მაშინ ბაბუამ და ეს მართლაც ასეა, ტყის უსასტიკესი ბინადარნიც შიშით ძრწიან მის წინაშე. მხეცებს ხომ ერთი მონინალმდევე ჰყავთ – ადამიანის სახით, რომელსაც ძალუძს გალიის სამუდამო ტყვეობაში მოიმწყვდიონ ან უკიდურეს შემთხვევაში სიცოცხლეს გამოასალმონ ისინი ... ეს რა მხეცებზე ფიქრი აეკვირება, განა უკეთესი არაა ჰკითხოს მაინც ტყემალაძეს, სად ეშმაკში და დოზანაში მიჰყავს, ეს რა დაუსრულებელი სიარული აუტყდა.

ვარლამმა კარგად იცოდა, ჯუმბერისნაირები რომ არ ხუმრობდნენ. მოდი და მართლა გაუწყრა ღმერთი, ტყემალაძეს, მაშინ?... რა იქნება მაშინ ... განა ტყუილად დაატორლიალებს კაცისგან ძნელად მისანვლომ ადგილებში ... მართლაც, რა სურს მისგან ჯუმბერს, თუ არა მისი პირისაგან მიწისა ალგვა ... თავად არ იყო ტყემალაძის ქვეყნიერებისგან დაცული საიდუმლო რომ გააშუქა საქვეყნოდ ... დაინდობს განა? ... – ცერად, უნდოდ გახედა ვარლამმა გაგულისებით მიმავალ ტყემალაძეს და ტუჩზე მწარედ იკბინა. ტკივილი არ უგრძენია, სისხლმა კი შადრევანივით იფეთქა. სწორედ, ამ მდგომარეობაში შეასწრო თვალი ჯუმბერმა.

– აი ასე, წვეთ-წვეთად განოვებ საკუთარ სისხლს, გამოადგი ფეხი ... გამოადგი შენი ... მწარე გინებას მუჯლუგუნიც დაუმატა ტყემალაძემ არაქათამოცლილ ვარლამს და წინ გაიგდო.

„არა ... არ დამინდობს“ ტყემალაძის ამ მოქმედებით ყოველგვარი იმედი გადაეწურა ვარლამს, – „რალაც უნდა ილონოს, მაგრამ რა?... ჯუმბერი შეიარაღებულია, წინააღმდეგობის განწევაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ახია მასზე. ჩაიგდო თავი მგლის ხახაში. იცის რა დროცაა, რა პიროვნებებითაა სავსე ქვეყანა ან ენას კბილი ვერ დააჭირა ან რას უჯდებოდა მანქანაში?... ვითომ მაგარი ბიჭობა გამოიჩინა ... ახლა გამოიჩინე მაგარი ბიჭობა, თორემ ისე გაგაქრობს, შენს ნაკვალევს ძე ხორციელი ვერ მიაგნებს, – ფიქრობდა გუნებაში ვარლამი, – არა, მაინც რატომ უნდა გაჩერებულიყო, რატომ?...სადამდე უნდა მოტყუვდეს ხალხი! განა სიმართლისთვის იარაღს ახლიან...თუმცა ისეთ დროს, რა დროსა და ვითარებაშიც უწევთ ყოფა, ყველაფერი მოსალოდნელია. განმკითხავი არავინ ჩანს, პასუხს არაფერზე არავის აგებინებენ. კაცის მკვლელობა, ძარცვა-გლეჯვა ხომ ჩვეულ ყოველდღიურობის ამსახველ მოვლენად იქცა, ნეტა ეღირსე-



ბოდეს ის წუთი, სიმართლე იზეიმებდეს, ეს რა უძირო ორმოში ამოვყავით თავი ქართველებმა... სწორედ, ამ ორმოდანაა ამოსვლა საჭირო, ამისათვის კი არაფერს შეუშინდება ვარლამი, ოღონდაც კი ამ ქვევრადქცეულ ქვეყანას უშველოს რამე.

... მანქანა სოფლის განაპირას, უკაცრიელ კარმიდამოში დააყენა ტყემალაძემ. მას შემდეგაა მოდიან. იქნებ ვინმემ მოკრა თვალი, იქნებ ვინმეს რაიმე ეჭვი აღეძრა, იქნებ ამოუსწრონ?... გადარჩენის შანსს ეპოტინებოდა ვარლამი. მაგრამ არა იმიტომ რომ ეშინოდა სიკვდილის, უბრალოდ, არ უნდოდა ამ ნაძირალას ხელიდან სიკვდილი და კიდევ დაწყებული საქმის დამთავრება ენადა, განა ცოტა გაეკეთებინა ხალხის საკეთილდღეოდ?... ჰოდა უნდოდა ბოლომდე მიეყვანა საქმე, ბოლომდე ეთქვა სათქმელი, დააცლიან კი?... – ვარლამს მოთმინების ფიალა აევსო, ჯიქურ დაეკითხა ტყემალაძეს:

– აღარ იტყვი სად მიგყავარ, აღარ იტყვი?! – მეტის ვერაფრის თქმა მოახერხა, ჯუმბერის გესლით სავსე მზერას რომ მოჰკრა თვალი, პირი იბრუნა და ისევ დუნედ განაგრძო გზა.

– კიდევ ბევრი დარჩა? – შინაგანი ინტუიციის კარნახით კვლავ დაეკითხა ვარლამი.

– შეეშვი ზედმეტ კითხვებს, თავადაც მშვენივრად მოგეხსენება სად მიდიხარ და რა გელის.

„მართლაც რა ელის ვარლამს?... სიკვდილი!...“ და ისიც თავჩარგული ცხვარივით მიჰყვება.

არა... აღარსად აღარ წავა, ფეხსაც არ მოიცვლის აქედან! – მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო ვარლამმა და შედგა.

– რას უდგახარ, გამოადგი ფეხი! – მტანჯველი ფიქრებიდან გამოიყვანა ვარლამი ტყემალაძის მომთხვონმა კილომ.

– არსად არ წამოვალ, ბარემ აქვე მოათავე საქმე, მე არ მეშინია...

„რაო?... ყურებს არ დაუჯერა ტყემალაძემ, – ჯერ ერთი ის, რომ ბედავს წინააღმდეგობა გაუწიოს, მეორეც – რომ არ ეშინია. „ერთი ამას დამიხედეთ“ – ბრაზით ფიქრობდა ჯუმბერი. „დარწმუნებულია კარგი საქმისთვის არ მიმყავს და დახეთ საოცრებას – არ ეშინია... განა ტყუილად გაისარჯა... ტყუილად აწყო გეგმა თუ როგორ მოეზაფრა, ცოცხლად მოეშოთ ვარლამი, როგორი სიტყვებით გამასპინძლებოდა?... გზაც ამისთვის განელა, რათა მეტად და მეტად ეგრძნო ვარლამს სიკვდილის წინა ციებ-ცხელება. ვარლამმა ხომ ცოცხლად დამარხა ჯუმბერი, საქვეყნოდ განაცხადა ის, რასაც ცხადია არავინ აპატიებდა. პოლიცია ალბად კვალში უდგას უკვე, თორმეტი წელი მაინც აქვს უკვე ხელში თუ მეტი არა, ჰოდა რაღაა მისი სიცოცხლე თორმეტი წლის შემდეგ. უმიზნოდ, უინტერესოდ, ქვეყნიერებას მონყვევით გატარებული თორმეტი წელი ცოტა არაა ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცისთვის. ახლა სწორედ იმიტომ ამოვიდა ამ მიყრუებულ ადგილას, – დროებით მაინც დაემალოს ფორმიანთა კლანჭებს. მუშლაძეც იმიტომ დაიმგზავრა უფრო ვრცელი და ოპერატიული ცნობები რომ არ მიენოდებინა ორგანოსთვის. მაგრამ

სადამდე... სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ასე, სადამდე უნდა დაიმალოს, ბოლოს და ბოლოს ხომ მიაგნებენ, მიუსჯიან, დალუპავენ. ვარლამს... ვარლამს კი...

– მე აქედან ფეხის მომცვლელი არ ვარ! – მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა ვარლამმა და ფიქრებში ღრმად ჩაფლული ჯუმბერი ბურანიდან გამოიყვანა.

– შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ, – ყბა განზე მოექცა ტყემალაძეს.

– ვერ გავიგე?! – ორაზროვნად დაეკითხა ვარლამი და მზერა აარიდა.

– რაა აქ გაუგებარი, – ნერვებმა უმტყუნა ტყემალაძეს, ვარლამს გააფთრებით მივარდა და ნჯღრევა დაუწყო.

– აქ გინდა გამათრევიო სამარა?... ნურას უკაცრავად... ვერ გამაბრიყვებ სიმართლის მაძიებლო, – ეს უკანასკნელ ხაზგასმით წარმოსთქვა ჯუმბერმა, – შორს, რაც შეიძლება შორს... ძე ხორციელმა რომ ვერ მიგაგნოს.

– მე ჩემი ვთქვი! მტკიცედ წარმოთქვა ვარლამმა მთელი სხეულით მოეშვა და ბალახებში დავარდა.

– ადექი, ადექი და გამომყევი... ადექი შე დამპალო, ადექი! – ცოფებს ყრიდა ჯუმბერი და ვარლამს მთელი ძალი და ღონით ექაჩებოდა.

ვარლამი კი იჯდა უსიცოცხლოდ, გრძნობისაგან დაცლილი და აინუნშიც არ აგდებდა იმას, რომ ჯუმბერი სიბრაზისგან ლამის გაგიჟებულიყო, თითქმის კუნძად ქცეულაო, არანაირი ამქვეყნიური მასზე აღარ მოქმედებდა. ტყემალაძეს არაქათი გამოეღია, ხელით ხომ ვერ ათრევს ამოდენა კაცს...

– მოგკლა ... მაინცდამაინც აქ მოგკლა?... ადექი და მომყევი, თორემ არ ვიცი რას ჩავიდენ!

– არა! კვლავ მტკიცედ განაცხადა ვარლამმა, ისე რომ ჯუმბერს მისი დაყოლიების ყოველგვარი იმედი გადაეწურა.

– მაშ, არა?! – კბილებში გამოსცრა ჯუმბერმა, მტვრიანი შარვალ-ხალათი ხელის უდიერი მოქნევით ჩამოიფერთხა და ძალ-ღონე გამოცლილმა იქვე ჩაიშხლა, სული მოითქვა.

– ამოშაქრე მაინც, რა გაიძულებდა ყველაფერი საქვეყნოდ გელაპარაკა, ტელევიზიით, – თითქოს ძალით ამოგლიჯესო სიტყვები ჯუმბერს.

– ხალხი არ უნდა მოტყუვდეს, – პასუხი არ დაუგვიანა ვარლამმა, – ის, რაც ხალხს ეკუთვნის ხალხთან უნდა მიდიოდეს.

– შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ, იქნებ გგონია ჩინ-მედლებს დაგკიდებენ, ისემც მამა გიცხონდება.

– ჩინ-მედლების მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, არც რაიმეს გამოველი ამ საქმიდან... გაიტანჯა ხალხი, ადამიანებს სული სძვრებათ გაჭირვებისა და სიდუხჭირისაგან და თუ ათასში ერთხელ რაღაცას მაინც მოელიან დახმარების მიზნით, ისიც ველარ უნდა მივიდეს მათთან? ეს უკანასკნელი იმედიც უნდა მოვუსპოთ მათ? ბოლო უნდა მოედოს ამ აღვირახსნილობას, აღარ უნდა მოხდეს მათი დატაცება, ხალხის კუთვნილება ხალხს უნდა მოხმარდეს... ეს მალაპარაკებდა, ამისთვის თუნდაც ჩამომახრჩონ...

ირინა რამიშვილი



# რატომ დატოვა ყოფილმა დირექტორმა კლუბი „გურია“?!



ს/კ ლანჩხუთის „გურიას“ პრესამსახურს განცხადებით მიმართა კლუბის ყოფილმა დირექტორმა, კობა მირზაშვილმა, ის გასული ეროვნული ჩემპიონატის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საფეხბურთო კლუბს, რომლის დროსაც „გურია“ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ჩემპიონატის ზედა ექვსეულში. მისი განცხადებით, ტოვებს საფეხბურთო კლუბს, თუმცა როგორც ყოფილი ფეხბურთელი (1987 წელს თამაშობდა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში, „გურიას“ დუბლშემადგენლობაში), „გურიას“ საფეხბურთო ოჯახის ერთ-ერთი წევრი – იყო, არის და ბოლომდე დარჩება „გურიას“ გულშემატკივარი.

მადლობას ვუხდით „გურიას“ ყველა ფეხბურთელს, ძირითადად გუნდს, დუბლშემადგენლობას, ჭაბუკთა ლიგის ორივე ასაკობრივი ჯგუფის წევრებს, მწვრთნელებს, ადმინისტრაციას და ტექნიკურ პერსონალს, სტადიონის თანამშრომლებს, რომლებიც ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში, ურთულეს პირობებში გვერდით მედგნენ და გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

მადლობა გულშემატკივარს, რომელსაც დამსახურებულად ეწოდა მე-12 მოთამაშე და ერთგულად ქომაგობდა თავის საყვარელ გუნდს. მადლობა გულშემატკივარს, იმ თბილი წერილისთვის, რომელიც გაზეთ „ლანჩხუთი პლუსში“ გამოქვეყნდა.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს დას მარინა თოთლაძეს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის როგორც მორალური, ისე ფინანსური კუთხით „გურიას“ წარმატებაში. არა აქვს მნიშვნელობა, ვიქნები თუ არა კლუბში, სიცოცხლის ბოლომდე ვრჩები „გურიას“ გულშემატკივარი. წარმატებები მინდა ვუსურვო გუნდს და ახალ ხელმძღვანელობას და იმედი გამოვთქვა, რომ იგი მალე დაიბრუნებს თავის ძველ დიდებას და ღირსეულად დაიმკვიდრებს ადგილს ქართული ფეხბურთის ელიტაში – აცხადებს კობა მირზაშვილი.

ჟურნალი „გურია REGION“-ი კობა მირზაშვილს დავუკავშირდით და შევეცადეთ, გაგვეგო, რა გახდა მისი

კლუბის დატოვების რეალური მიზეზი. იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება დაკავშირებული მასსა და ლანჩხუთის გამგებელს, ზაზა ურუშაძეს შორის მომხდარ დაპირისპირებასთან, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე აშკარა და თვალსაჩინო იყო:

– ბატონო კობა რატომ მიიღეთ კლუბის დატოვების გადაწყვეტილება?

– გასულ სეზონში მაქსიმუმში გავაკეთე „გურიასათვის“, ეს შედეგიდანაც ჩანს. ამ ეტაპზე კი მივიჩნევ, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორია.

– ხომ არ ჰქონდა გამგებლის, ზაზა ურუშაძის მხრიდან რაიმე სახის ზენოლას ადგილი თქვენი მისამართით, გამომდინარე თქვენი განსხვავებული პოლიტიკური წარსულიდან?

– აშკარა ზენოლას ადგილი არ ქონია.

– რა ურთიერთობა გაქვთ დღესდღეობით გამგებელთან, ზაზა ურუშაძესთან?

– არანაირი ურთიერთობა არ მაქვს.

– ჩვენ ხელთ ჩავვივარდა ბრძანება, სადაც საუბარია რეორგანიზაციის შედეგად თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, ასევე ბრძანებაში ნახსენებია შპს „საფეხბურთო კლუბ გურია-2000-ის“ დირექტორი შოთა პატარაიასა და „საფეხბურთო სკოლის დირექტორი“ – დურმიშხან ჩხაიძე. ბრძანება 2014 წლის 30 ივლისით თარიღდება, გამაფრთხილებელი ბრძანების მიუხედავად, თქვენ კლუბში მუშაობას ისევ აგრძელებდით... იყო თუ არა თქვენთვის ამ ბრძანების შესახებ ცნობილი?

– რეორგანიზაციის შედეგად უნდა მომხდარიყო თქვენს მიერ ჩამოთვლილი სამსახურების გაერთიანება. საჯარო სამსახურის შესახებ კანონიდან გამომდინარე, ჩვენ გავაფრთხილეს მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ. თუმცა, რეორგანიზაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია გამგებლისთვის დაენიშნა ს/კ „გურიას“ ახალი დირექტორი. სხვათა შორის ბრძანება ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დღემდე არავის მოუცია. სიტყვიერად ვიცი, რომ გათავისუფლებული ვარ, თანაც ახალი დირექტორი დანიშნულია.

– ყველამ კარგად ვიცით, რომ თქვენი ოჯახი, განსაკუთრებით თქვენი და ლანჩხუთის „გურიას“ ფინანსურად ეხმარებოდა, როგორ შეეგუა ოჯახი კლუბიდან თქვენი წამოსვლის გადაწყვეტილებას?

– მადლობა თქვენ, სხვებისგან განსხვავებით გასსოვთ, რა წვლილი მიუძღვის ჩემს დას და ოჯახს „გურიას“ წარმატებაში. ყველაფრის მიუხედავად ოჯახი პატივს სცემს ჩემს გადაწყვეტილებას.

– კლუბში ცვლილებებია, როგორ შეაფასებდით ახალი ხელმძღვანელობის მუშაობას?

– ჩემგან უხერხულია და არ მივცემ თავს უფლებას ახალი ხელმძღვანელობის მუშაობა შევაფასო. ფეხბურთის სამყაროში მუშაობა შედეგით ფასდება. წარმატებებს ვუსურვებ „გურიას“ და ახალ ხელმძღვანელობას.

ნინო ონიანო





მარიამ ხაბეიშვილმა ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ტკთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა დაამთავრა და წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტექსტის წერა ბავშვობიდან დაიწყო. იგი ჩოხატაურში სისტემატურად მონაწილეობდა ახალგაზრდულ ღონისძიებებში, სადაც ჰოეზიის მოყვარულებს ყოველთვის ხიბლავდა საკუთარი ტექსტებით.

# მარიამ ხაბეიშვილის ჰოეზია

## ჩვენ – ფოთლების ზუღსი

მეძახნი: „მზისფერო, ჩრდილისფერთმიანო! –  
მე ვიშლი თმის ჩანჩქერს მზეში. –  
წამოდი, მწვერვალთა ქიმეებზე ვიაროთ,  
წვიმა გადავისნათ, თქეში.  
წამოდი, ავუყვებ ალმარტებს, მომწვანოს,  
და ჩავრგოთ ხეები ხნულში,  
კვირტებამოყრილნი სითბოთი მოვწამლოთ,  
ფოთლებს გავეუხომოთ ზუღსი.  
წამოდი, მარწვეისფერ მინდროში გავიქცეთ,  
კენკრა შევუგროვოთ ჩიტებს,  
სუნთქვა ჩავუშენოთ ძველ მიწებს, ღამისფრებს,  
რბევას და ღვევას რომ იტევს.  
წამოდი, ქუჩებში დავუხვდეთ ხეობრებს  
და ტვირთი ჩამოვსნათ, ტკბილი,  
ჩემს დაწნულ გვირგვინებს ხშირ თმაში შეიბნევე,  
სულ დავვაწიწებთა ძილი.  
მივნიდავთ ტამრებში ევაილებს, იისფერს,  
სანთლებს დავურიგებთ ბავშვებს,  
წამოდი, ბარძიმთან კვლავ ერთად მივიდეთ,  
ჯვარცმულის სისხლი რომ ავსებს.“  
ჩვენ წავალთ, სიცოცხლის წუაროებს მოვუვლით  
შენ დგახარ – თითქოს მზე მზეში,  
მე მიუვარს სიხუმე შენი, მიღმიური,  
მოგვევები, წვიმაა, თქეში.

## ზეცისა და ტამრის თაღებში

ვიცი, სიკვდილთან დაიბადე ერთხელ თავიდან,  
ითმენდი ტკივილს, სულისშემძვრელს და უსაზომოს,  
შეგისისხლხორცდი გადმოცლილი მიწის გვამიდან  
და შენს წილ ჰაერს შევუსახლდი, როგორც სამშობლოს.  
თითქოს შენს თვალებს შეეხარდა კვდომა ხანგრძლივი,  
და უსაშველოდ, უიმედოდ ავად იუავი,  
შენს ნაბრძოლ სხეულს შემოვხვიე სული ხაფიზით,  
ისე მომინდა, შენი ცოლი გავმხდარიუავი.  
ვხედავ, რომ გიჭირს სიარული, შენი თვალებიც  
სივრცეს სიღრმეში, სიღრმეულად აჩერდებიან,  
ჩვენ ვდგავართ ახლოს, ზეცისა და ტამრის თაღებში,  
შენში – სხეულის, ჩემში სულის ნატყეხებია.  
შენ თითქოს არ ხარ მიწიერი, ბავშვივით დუმხარ,  
ახლოა კამი, ეგვიპტიდან ჩემი გამოსვლის,  
და ვდგები შენი ღვთაებრივი თვალების უკან –  
არანაობა, არაფერი, ქრობა, ქაოსი.  
მე ვტოვებ ქაოსს და სივრცეში ჩემს კოსმოსს ვეძებ,  
შენ ხარ კოსმოსი – მზეში შერწყმის გზა მოლოდინის,  
მაგრამ უცნობო, შენ იმდენად მეტი ხარ ჩემზე,  
როგორც ხრწნადსა და წარმავალზე – უკვდავყოფილი.  
ევაილებს კრეფდი, მაღლიერი ამკობდი ხატებს,  
ახლა დაცვენილ იასამნებს მაგონებს თოვას,  
თუკი ოდესმე მაგ უმძიმეს ტკოთს ვეღარ აწევ,  
მე დამიძახე და იმ წამსვე, იმ წამსვე მოვალ.

## კავშირი მრავალწერტილთან (გაცოცხლება)

... და თითქოს მინდოდა, ატმის ევაილები  
ჩემს თმაში ჩავეწნა სიცოცხლის ელორტებად,  
ჩემს გვერდით გენახა სხივები, ხრილები,  
სისხლისფერ ალუბლებს თუ როგორ შორდებო.  
თუ როგორ ეცემა მიწას წამ – წამობით,  
წვეულები ჰატარა ვერცხლისფერ სხივებად,  
მათ როგორ იკრავენ მრუმე წამწამები,  
როდესაც წრეები ჩრდილებად ირევა  
მიწასე... და უცებ თვალებში გაწვიმდა,



ვიკრძენი მძიმე და უძლეური სხეული,  
 დაცემა, გაუოფა უამრავ ნაწილად,  
 და მერე სიკვდილი ვნებებით ძლეული  
 სულის. ბოროტება მრუშ ფესვებს იღვამდა,  
 სიცივე გამეფდა, მზე ჩემში არ იყო,  
 სული მოატარა წვედიადებს სიძვამ და  
 სხეული ცოდვითა ჭაობში წაიღო.  
 ქრისტეს, უარყოფილს, ხელახლა ვმოლტავდი,  
 თვალებით მაწვდიდა სითბოს დაცემული,  
 მე ველარ ვწვდებოდი ხელებით მოტანილ  
 ცრემლებს, გაცოცხლების და ჩემი სხეული  
 სულ უფრო შორს იყო. ისმოდა ხარხარი,  
 ღრმა ჯოჯოხეთიდან, ხარხარი დემონთა.  
 გულში მიხუტებდა ჭრილობებდამსკდარი  
 ქრისტე და დაკარგულ, უძლებ შვილს მელოდა.  
 სარკეში არეკლილ, ჩემს უცხო ანარეკლს,  
 გუღვრდი სიძულვილს გაეინულ თვალეში,  
 ვხედავდი მომავალ, ჩემივე ნაწამებ

ქრისტეს და მესმოდა სმაური დალეწილ  
 სმების. ის ტიროდა მდუღარე ცრემლებით,  
 ცოდვებს ვალურსმნავდი სისხლწამსკდარ ფესვებზე,  
 უფსკრულში ჩაძირულს, ვნების დამთენიელი,  
 მიხმობდა და რცა თვალეზე შევხედე,  
 ავტირდი... ფილტვებში სითბომ ამოხეთქა,  
 ის იღიმებოდა, თმაში მზეს მიწნავდა,  
 მე ღრუბლებს ვიდგამდი ზეციურ მოლბერტთან,  
 ვხატავდი გუმბათებს, აღმართულს მიწიდან  
 ზეცამდე. ზეციდან გალობას ჩამოვყენე  
 სხივები. „ოხანა“ ისმოდა ხანგრძლივი,  
 და ქალის სხეულში სიცოცხლის წარმოქმნელ,  
 აუსხნელ სიუვარულს იტკვდა ბარძიმი.  
 ქრისტე მიხორცებდა ტანჯვით დაუძლეველ  
 სიკეთეს, რომელიც თმაში მზედ ჩამიწნა,  
 სიუვარულს, რომელიც ორსულის მუცელზე,  
 სამყოფელს უშენებს სულებს დედამიწად.



## ბურული სუმრობები



გურული მივიდა სტუმრად, სახლში არავინ დახვდა და  
 წერილი დატოვა: ვიყავი, არ იყავი, სა იყავი.

☺ ☺ ☺

გურული ბებია შვილიშვილს საჭმელს კოვზით აჭმევს  
 და თან ეუბნება: ჭამე, ბებია, კოვზით და კუტა გაგებრდე-  
 ბაო. ამის გამგონე რძალი დედამთილს ეუბნება – მაი თუ  
 იცოდი, ქალო, შენ შვილს ვერ აჭამე კოვზით?

☺ ☺ ☺

გურული გამწარებული სვამს ნამლებს. გაცეხული  
 ცოლი ეკითხება: კაცო, ამდენ ნამალს რომ სვამ ავად ხომ  
 არ ხარ?

– არა, დღეს ვადა გასდის – უპასუხა ქმარმა.

☺ ☺ ☺

მთვრალი გურული ტაქსში ჩაჯდა. მძღოლი ეკითხება:  
 – საით მიბრძანდებით? – მაი არაა შენი საქმე, – უპასუხა  
 გურულმა.

☺ ☺ ☺

გურული ბავშვი წევს აკვანში. უცებ გამოიღებს სანოვა-  
 რას პირიდან და გაბრაზებული იყვირებს: გადამდგით ვინ-  
 ცხამ, მომადგა მზეი.

☺ ☺ ☺

გურული მოსეირნობს მანდილოსანთან ერთად სკვერში.  
 დაინახა წარწერა – „გადაფურთხებაზე ჯარიმა 5 ლარი“.   
 გურული ქალს მოუბრუნდა და ამაცად ეუბნება: – გადაა-  
 ფურთხე, ცავ, გპაიჯობ.

☺ ☺ ☺

გურული ცოლოურსაა და ყანიდან დაღლილი მივა სახლ-  
 ში. ცოლს ეუბნება, საჭმელი გამიმზადეო. ცოლი სერიას

უყურებს, არ სცალია და ქმარს ეტყვის  
 – აგერ მაცივარშია, გამოიღე და ჭამეო.  
 გავა 10 წუთი, გურული ისევ ითხოვს საჭ-  
 მელს – დაღლილი ვარ, ქალო, ნადი, ღვინო ამომიტანეო  
 – ჩაეთრე და შენ თვითონ ამიტანე, შე სასიკვდილე, –  
 შეუყვირა სერიას მოცდენილმა ცოლმა. ბოლოს ქმარი  
 აღევებული ხმით ეტყვის: – ქალო, მიდი ერთი, ჩვენი ქო-  
 რნილის სია გამომიტანე! – ქორნილის სია რალად გინდა?  
 – დაინტერესდა ცოლი. – რათ მინდა და კეთილები უნდა  
 გაგინო და არავინ გამომრჩეს!

☺ ☺ ☺

გურული ზოოპარკშია. ლომის გალიას აწერია: თავი არ  
 შეყოთ გურული გახარებული ამბობს: კიდო კაი, კითხვა  
 რომ ვიცი, თვარა ხომ დავლუპავდი ოჯახს.

☺ ☺ ☺

80 წლის გურული შევიდა აფთიაქში და ფარმაცევტ გო-  
 გონას მოსთხოვა „ვიაგრას“ აბის ერთი მეოთხედი. – ბაბუ,  
 არ გიშველის ასე პატარა დოზა, შენ რომ გინდა, იმიზა...  
 არა, ბაბუ, შენ რომ ფიქრობ, იმიზა არ მინდა, იქნება პანე  
 წამოვწიო ზეით, თუ არა, მიდღემში კალოშებში ვშარდავ.

☺ ☺ ☺

გურულს გააცნეს ჩინელი. მან ხელი გაუწოდა და  
 უთხრა:

- საგავა კუო.
- ძამა, მაგიზა თუ მოდი, გადი და აივანზე გააკუე!

☺ ☺ ☺

- რა ღირს, გურულო, შენი გოჭი? – სამასი ლარი.
- სამას ლარს გოჭში მახდევინებ?!
- ამას რო უყურებ, ძამა, შიმშილმა დააგლახა, თვარა  
 ღორი იყო მის დროზე.



# ფერისცვალების დღესასწაული და ტრადიციული დოღი პანსაროში





საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოსული

ISSN 2346-7606



9 772346 760009